MES 5 22 0000032362

17/01/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:25 სთ
სხდომის დასრულების დრო: 23:10სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი (I, II, III, VII საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (IV, V, VI საკითხი)
სხდომის მდივანი: ეკატერინე ნაცვლიშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ანა ფირცხალაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
4. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
6. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;

8. დიანა მჭედლიშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
9. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
10. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
11. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
12. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ნიკა ფარჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	**ქეთი ინანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ნიკა გიგაური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გიორგი შარვაშიძე		უნივერსიტეტის რექტორი	I, II, III, IV, V, VI, VII
2	ირმა გრძელიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II, III, IV, V, VI, VII
3	ნინო ქიმერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკრედიტაციის კვლევებსა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელი	I, II, III, IV, V, VI, VII
4	რევაზ ჯორბენაძე		სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II, III, IV, V, VI, VII

5	მარეხ დევიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მოადგილე	**I, II, III, IV, V, VI, VII**
6	გიორგი გოგსაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**I, II, III**
7	იოსებ სალუქვაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**I, II, III**
8	ნინო პავლიაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	**I, II, III**
9	მალხაზ მაცაბერიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**IV, V, VI**
10	სალომე დუნდუა		ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, განმახორციელებელი პერსონალი	**IV, V, VI**
11	ალექსანდრე კუხიანიძე		განმახორციელებელი პერსონალი	**IV, V, VI**
12	ზვიად აბაშიძე		განმახორციელებელი პერსონალი	**IV, V, VI**
13	თამარ ქარაია		განმახორციელებელი პერსონალი	**IV, V, VI**
14	მედეა ბადაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	**VII**
15	ეკატერინე ფირცხალავა		აკადემიური პერსონალი	**VII**
16	ლია წულაძე		აკადემიური პერსონალი	**VII**
17	ნარგიზა არჯევანიძე		მოწვეული ლექტორი	**VII**
18	ანა რეხვიაშვილი		მოწვეული ლექტორი	**VII**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ნოდარ ფოფორაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I, II, III**
2	თათია დოღონაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I, II, III**
3	შორენა წიკლაური	(ჩაერთო „ზუმით“)	**I, II, III**
4	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I, II, III**
5	ვლადიმერ ბერაია	(ჩაერთო „ზუმით“)	**I, II, III**
6	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV, V, VI**
7	დავით გეგეჭკორი	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV, V, VI**
8	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV, V, VI**
9	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV, V, VI, VII**
10	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV, V, VI**
11	ანა კირვალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**VII**

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:25 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გენდერის კვლევის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გენდერის კვლევის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია Socio-Political and Tourism Geography of the World
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება №282
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საზოგადოებრივი გეოგრაფია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრი Bachelor of Human Geography
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სოციოლოგია და კულტურის კვლევები - 0314
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. №1, № 3, №11, №8, №14, თსუ-ს კორპუსები I, II, III, IV და IV; თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: ხუთივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ, განაცხადა, რომ ვიზიტი გაიმართა შერეულ ფორმატში, ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაეცნენ, როგორც გადაგზავნილ საბუთებს, ასევე დაათვალიერეს ლაბორატორია, ჩაატარეს ინტერვიუები, „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ეს არის ყოფილი „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. განსაკუთრებით საინტერესო იყო სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფი არის ერთიან აზრზე და მათ გასცეს მხოლოდ ერთი რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

1. მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის მიზანი, სადაც ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული ტურიზმის სფეროზე.

მისი თქმით დაწესებულებას კარგი ლაბორატორიული ბაზები აქვს, ასევე შემოერთებული ინსტიტუტების ბაზების გამოყენება შეუძლიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის თანახელმძღვანელმა, იოსებ სალუქვაძემ, განაცხადა, რომ მას სურს კმაყოფილება გამოთქვას აკრედიტაციის პროცესისადმი, რომელიც იყო ძალიან საქმიანი, პრობლემებზე მიმართული, ამავდროულად კეთილგანწყობილი, ხშირად არ ხდება ხოლმე, რომ ჰქონდეთ არგუმენტირებულად საუბრის, აზრის გაცვლის საშუალება. დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას, დაწესებულებამ უკვე გადადგა ნაბიჯები, პროცესი დინამიურია, რადგან დაწესებულებამ პროგრამის დასახელებაში შემოიტანა ტურიზმის გეოგრაფიის საკითხი, მათ უკვე დაიწყეს მუშაობა ციურიხის უნივერსიტეტთან, მათი სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით კიდევ ერთი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განვითარება იქნება შესაძლებელი, ასევე, აკრედიტაციის პროცესის შემდეგ მნიშვნელოვანი დაფინანსება მიიღეს ავსტრიის უნივერსიტეტთან ერთად, ტურიზმის საგანი დაემატება შემდეგი 2 წლის განმავლობაში, რომელიც დაკავშირებული იქნება მთიან ადგილებში ტურიზმის მედეგობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რჩევებთან დაკავშირებით, სადაც 2.3 კომპონენტში გაცემულია რჩევა - „სასურველია, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საჭიროების გადახედვა“, მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ თუ რატომ განაპირობა აღნიშნული რჩევის გაცემა. ასევე, 2.3 კომპონენტში გაცემულია რჩევა - „სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები, რაც მთლიანობაში პროგრამას გახდის თანმიმდევრულს და ლოგიკურად დალაგებულს;“. 2.6 კომპონენტში გაცემულია რჩევა - „სასურველია გადაიხედოს რამდენად საჭიროა დასწრების 5 ქულით შეფასება და დასკვნით (საბოლოო) გამოცდაზე დაშვების წინაპირობის 11 ქულის გაზრდა“. გაცემულია რჩევა მატერიალური ბაზის შესახებ - „სასურველია, ლაბორატორიული ბაზის მეტად გაუმჯობესება, რუკების დასკანერებისა და მათი დიდ ფორმატში ბეჭდვის შესაძლებლობის შესაძლებლობა“. ვინაიდან საბჭოს თავმჯდომარე დარგის სპეციალისტი გაუჩნდა კითხვა მატერიალური ბაზის შესახებ, არის თუ არა საკმარისი იმისთვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგებზე მოხდეს გასვლა. რიგ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს - „ეკონომიკური, რეკრეაციული და ტურიზმის გეოგრაფია - საველე პრაქტიკა“ სადაც შეფასების ნაწილში დასწრების შეფასება არის 40 ქულა და მხოლოდ დასწრება ფასდება 10 ქულით, მსგავსი სიტუაციაა სასწავლო კურსში „კულტურული ტურიზმი“, დასწრების შეფასებაც ხდება, შესაბამისად საინტერესო იქნება ორივე მხარის მოსაზრების დაფიქსირება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ გაცემულია რჩევა - „სასურველია გადაიხედოს სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები და მოხდეს ასახვა სად და როგორ გამოიყენებ მას და როგორ აფასებენ“, სთხოვა დაეზუსტებინა ექსპერტთა ჯგუფს მხოლოდ მითითების პრობლემა იყო თუ სწავლა-სწავლების რელევანტურობის საკითხიც დადგა.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მან აღნიშნა, რომ არ არის სფეროს წარმომადგენელი, თუმცა მან ნახა არჩევითი საგნები, რომლებსაც სასურველია შესაბამის კომპეტენციებზე გაყავდეს სტუდენტი, მაგ., „სოციალური მუშაობის შესავალი“, დაინტერესდა თუ რა აკავშირებს აღნიშნულ სასწავლო კურსს გეოგრაფიის პროგრამის მიზნებთან თუ აქვს რაიმე კავშირი, ან საერთოდ რა კავშირშია ამ მიმართულების პროგრამასთან?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ, პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის შესახებ განაცხადა, რომ ისეთ ზოგად საგნებში, რომლებიც 5 კრედიტიანია და ერთ სემესტრში მთავრდება, ექსპერტთა ჯგუფს ზედმეტად მიაჩნია მათში პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის გაწერა, თუ არ არის ეს პრაქტიკა ან ისეთი საგანი, რომელიც წინაპირობებს ითვალისწინებს, ამიტომ გაიცა რჩევა, გადახედვის შესახებ.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, განაცხადა, რომ რჩევად გაიცა, რადგან დაწესებულებას ჰქონდა ამის უფლება, ასევე მოისმინეს პასუხი, სადაც დაწესებულების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ მათ ძალიან ბევრ კურსში ჩაშენებული აქვთ პრაქტიკის ელემენტები, შესაბამისად პატარა ელემენტიც კი უვითარებთ პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას, მათ ჰქონდათ ამის შესაძლებლობა და ამიტომ გაცა რჩევა, რომ სადაც დიდი დოზით იყო წარმოდგენილი მხოლოდ იქ დარჩენილიყო. ექსპერტთა ჯგუფისთვის საინტერესო იყო დასწრების კომპონენტი, რომლის შესახებაც დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ არ იგულისხმებოდა მხოლოდ დასწრების კომპონენტი, დაისვა კითხვა თუ რამდენად შესაძლებელი იყო დასწრების აღრიცხვა დისტანციური სწავლების დროს, როდესაც 100 სტუდენტია, რაზე პასუხიც იყო, რომ გულისხმობდნენ დასწრება აქტიურობას, შესაბამისად რჩევაში გაიწერა აღნიშნული მოსაზრება. ასევე 11 ქულასთან დაკავშირებით აღმოჩნდა, რომ გაცილებით მეტი გროვდება, მაგრამ იმის გამო, რომ არის პანდემია და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინებით, აღნიშნული ფორმალურ ხასიათს ატარებს.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით ზოგიერთ სილაბუსში წერია, რომ დასწრება ფასდება 10 ქულით, აქტივობები კი ჩამოთვლილია და უწერია შესაბამისი ქულა, ჯამში გამოდის 40 ქულა, ანუ ცალსახად წერია სილაბუსში. ერთ-ერთ სილაბუსში წერია, რომ სტუდენტი უნდა დაესწროს 15 ლექციას და არის პროცენტული ბიჯები აღნიშნული დასწრებების მიხედვით, აქტივობის კომპონენტი, რაზეც საუბარი იყო, სილაბუსში ცალკეა გამოყოფილი, მაგ., „ეკონომიკური, რეკრეაციული და ტურიზმის გეოგრაფია - საველე პრაქტიკა“, „კულტურული ტურიზმი“.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, აღნიშნა, რომ როგორც დაწესებულებამ ახსნა მათ აქვთ ორი ტიპის აქტივობა: 1. რაზეც საუბარი იყო და 2. პრაქტიკული აქტივობა, პროექტის წარდგენა ან ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში ასე ჩანს ინტერვიუების პროცესში დაწესებულებამ ასე განმარტა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნოდარ ფოფორაძის, განცხადებით დაშვების წინაპირობებში შეექმნათ იმის განცდა, რომ გარკვეულ საგნებში, მაგ., საველე პრაქტიკასა და ისეთ საგნებს, რომელთაც გარკვეული წინაპირობა სჭირდება, დაწესებულებამ ახსნა, რომ სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს, ველზე გასვლის წინ მიიღოს გარკვეული რჩევები და ამიტომ არ არის განსაზღვრული წინაპირობა, თუმცა მაინც გარკვეულ საგნებში საჭირო იქნება წინაპირობების განსაზღვრა. ლაბორატორიული ბაზის შესახებ, მან განმარტა, რომ მისი განახლება ყოველწლიურად ხორციელდება უნივერსიტეტსა და შემოერთებულ ინსტიტუტებში, ეს ტრადიცია, როგორც ყველა სტუდენტი ითხოვს, სურთ, რომ მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ, თუმცა არსებული ბაზა არის იმის გარანტი, რომ პროგრამამ შეძლოს მიზნებზე გასვლა. რაც შეეხება დასწრების ქულებს, ისეთი უნივერსიტეტისთვის, როგორიც სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია, ასეთი მინიმალური ზღვარი არცერთ სტუდენტს არ გამოუყენებია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ აღნიშნული მოტივაციას არ უქმნის სტუდენტს, რომ ლექცია/სემინარებზე მეტი ქულა აიღოს.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ, განაცხადა, რომ იგულისხმებოდა დაფიქსირება, დაკონკრეტება, რადგან დაწესებულებას ძალიან ლოგიკურად აქვს გადანაწილებული, უბრალოდ უნდა აღიწეროს, მაგ., პრაქტიკის პერიოდში კონკრეტულ რა მეთოდზეა გამახვილებული ყურადღება, რათა სტუდენტმა იცოდეს, წარმოდგენილი ფორმა მისაღებია, მაგრამ რჩევის გათვალისწინება უფრო მკაფიო სურათს შემოიტანს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ სალუქვაძემ, 11 ქულასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არის საუნივერსიტეტო რეგულაცია, რომელსაც პროგრამა ვერ შეცვლის და გამომდინარეობს მარტივი არითმეტიკიდან, თუ გამოცდა არის 40 ქულიანი, შესაბამისად იმისთვის რომ სტუდენტმა თეორიულად დააგროვოს 51 ქულა, რომლითაც იღებს კრედიტს, მას სჭირდება მინიმუმ 11 ქულა, შესაბამისად შესაძლებელი იქნება კრედიტის მიღება. მან ექსპერტთა ჯგუფსაც აუხსნა, რომ 11 ქულა მინიმუმი არის იმ საგნებისთვის სადაც 40 ქულიანია გამოცდა, ხოლო სადაც 30 ქულიანია მინიმუმი არის 21 ქულა, ძალიან იშვიათია, როდესაც 11 ქულიანი სტუდენტი მაინც ახერხებს საბოლოო ღვრის გადალახვას, რადგან 40-დან 40 ქულის მოპოვების

შანსი 2-3%-ია, რაც ძალიან ცოტაა. ეს არ არის პროგრამის განმახორციელებლების გამოგონება, ეს არის საუნივერსიტეტო რეგულაცია და სულაც არ იქნებიან წინააღმდეგნი თუ გადაისინჯება. „სოციალური მუშაობის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ არის მოცემულობა სადაც არის 7 მაპროფილებელი სპეციალობა, საიდანაც 4 აუცილებლად უნდა აიღოს სტუდენტმა, გეოგრაფმა ცხადია გეოგრაფია უნდა აიღოს, მაგრამ შემდეგ არჩევანია, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკური მეცნიერებების, სოციოლოგიის, სოციალური მუშაობისა და ჟურნალისტიკის შესავალი კურსებიდან, როდესაც ამთავრებს 20 კრედიტი უნდა ჰქონდეს ფორმირებული ამ შესავალი კურსებიდან, გეოგრაფიის შესავალი კურსიც თანაბარ წონიანი იმ შესავალ კურსებთან რომლებიც იკითხება ფაკულტეტზე, ასევეა გეოგრაფია არა გეოგრაფებისთვის, შესაძლოს 3-ჯერ ან 4-ჯერ მეტი სტუდენტი იღებდეს გეოგრაფიის შესავალს არა იმიტომ, რომ აღნიშნული მაპროფილებელი საგანია, არამედ ეს მათი ერთ-ერთი სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსია.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, დასძინა, რომ შესაძლებელია კითხვა არასწორად დაასვა, რადგან თვითონაც ნახა, რომ საფაკულტეტო სასწავლო კურსები იყო, თუმცა დაინტერესდა თუ რატომ არ იყო, მაგ., შესავალი სამართალში და სხვა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ სალუქვაძემ, განმარტა, რომ როდესაც მოხდა ფაკულტეტების ფორმირება ეფუძნებოდა გარკვეულ პრინციპს, ვინაიდან ჩაითვალა, რომ საზოგადოებრივი გეოგრაფია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნაწილია და არა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სადაც განაწილდა ფიზიკური გეოგრაფია, ეს გადაწყვეტილება გარკვეულწილად პირობითია, მაგრამ ფაკულტეტზე არ შედის არც ეკონომიკის არც იურიდიული, რაც არ ნიშნავს, რომ სხვა საგნები არ არის რელევანტური, რადგან ზოგიერთი სტუდენტი შემდეგ ეტაპებს თავისუფალი არჩევანის ფარგლებში გადის სხვა ფაკულტეტების საგნებს, ორგანიზაციის/სტანდარტიზაციის თვალსაზრისით ეს სტანდარტია მიღებული და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სხვა საგანი არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ფაკულტეტზე სინერგიისთვის, რადგან სტუდენტები თავიდანვე არ ირჩევენ სპეციალობას, თუმცა შეზღუდულია რა ჩარჩოებში უნდა იმოძრაონ, ეს წესი შემოღებულია 2005-2006 წლიდან და მისი აზრით ნორმალურად მუშაობს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებსა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელმა, ნინო ქიმერიძემ, განაცხადა, რომ შესაძლებელია ამ არჩევითი კურსებიდან ერთ-ერთი გახდეს სტუდენტისთვის დამატებითი სპეციალობის არჩევის საფუძველი, ასევე სტუდენტს აქვს საშუალება ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან აიღონ შესავალი კურსები, მაგ., იღებდნენ ფილოლოგიის საგნებს, რათა საერთაშორისო ურთიერთობებში გაემყარებინათ ენობრივი კომპეტენცია და ა.შ. ეს არის ძალიან კარგი საშუალება, რადგან საერთო პროფილით მოსული სტუდენტი არკვევს თუ რას გააკეთებს შემდგომში და რა დამატებით სპეციალობას შეითავსებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ სალუქვაძემ, განაცხადა, რომ დიდიხანი მსჯელობდნენ ამ საკითხზე, ზედმეტი სიმწყობრე არ არის ცუდი, მაგრამ ხელს უშლის მობილობას, რაც ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია საგანმანათლებლო სისტემის, სტუდენტები არ არიან ვალდებულნი, რომ პირველივე დღიდან იცდნენ რა სპეციალობას გააგრძელებენ, ხშირია შემთხვევა, როდესაც სხვა ფაკულტეტებიდან გადადიან განსახილველ პროგრამაზე, ან პირიქით, ამიტომ ცდილობენ, რომ სიხისტე სტუდენტების პრობლემად არ გადაიქცეს, რასაც ახერხებენ, პირობითად დაყოფილი აქვთ პირველი-მეორე რიგის საგნები, რომელსაც ტუტორები ყოველთვის ეუბნებიან სტუდენტს, რომ ჯერ შესავალი კურსები გაიარონ და შემდეგ სხვები, ამას ასევე აქვს მნიშვნელობა იმ რთულად დასალაგებელ სასწავლო საათებზეც, რომლებიც ყოველთვის პრობლემაა, ზოგჯერ სტუდენტები იძულებულნი არიან აიღონ სასწავლო კურსი, რომელიც იმ დროს არის ხელმისაწვდომი, როდესაც დატვირთვა არ აქვთ.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი გოგსაძემ, წინაპირობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათი მიმართულება ძირითადად ემსახურება სხვებს, რადგან მათი სტუდენტები თითოეულ სასწავლო კურსზე შეადგენენ უმცირესობას, მაგრამ სამაგიეროდ ყავთ ბევრი სხვა

ფაკულტეტებიდან. თუ დადებენ წინაპირობებს სხვებს შეუქმნიან დისკომფორტს, სპეციალობა ისეთი გაშლილია, რომ არ არის აუცილებელი წინაპირობა თუ სპეციფიკური მიმართულება არ არის, მაგ., დარგობრივი ინგლისური (1, 2, 3, 4), ჩვეულებრივ სასწავლო კურსებში არ მიიჩნევენ რელევანტურად, რომ წინაპირობები ყოფილიყო. საუბარი იყო საველე პრაქტიკაზე დასწრებაზე, პროგრამა ვერ დაარღვევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის სტანდარტს, თუმცა შესაძლებლობა რომ ჰქონოდა უფრო მეტი დასწრების ქულა იქნებოდა განსაზღვრული, რადგან სტუდენტი მარშრუტზე უნდა წავიდეს და ნახოს ის სადაც დაწესებულებას მიყავს, თუ გააცდინა 1, 2 ან 3, ეს არ არის ჩვეულებრივი სალექციო კურსი, რომ შემდეგ შევიდეს და ინტერნეტში ნახოს, თუმცა თეორიულად ესეც შესაძლებელია, ამიტომ არის დასწრება საველე პრაქტიკაზე 10 ქულით შეფასებული, შესაძლებელია დაწესებულებამ სხვა მიდგომები გამოიყენოს. „კულტურულ ტურიზმთან“ დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს არ არის მათი საგანი, ეკონომიკის ფაკულტეტთან შეთანხმებით „წამოღებულია“ და ჩადებული აღნიშნული პროგრამის კურიკულუმში, რადგან გაამლიერეს ტურიზმის სექტორი/სწავლება, ამიტომ დასჭირდათ მისი წამოღება სხვა ფაკულტეტიდან.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია Socio-Political and Economic Geography
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.07.2012 გადაწყვეტილება №265
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საზოგადოებრივი გეოგრაფია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი Master of Human Geography
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სოციოლოგია და კულტურის კვლევები - 0314
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. № 8, №14, თსუ-ს კორპუსები VI და IV. თბილისი, 0179, საქართველო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

√ არა**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილებასაბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: ხუთივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეm, ნოდარ ფოფორაძემ, განმარტა, რომ ამ შემთხვევაში რეკომენდაციები გაცემული არ არის, გაცემულია მხოლოდ რჩევები, მან აღნიშნა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრა, რომელიც წარიმართა გულთბილ ატმოსფეროში, სტუდენტები მოტივირებულები არიან, გამოირჩევიან ცოდნის მაღალი დონით, პროგრამა უზრუნველყოფილია საველე პრაქტიკებით, მაგრამ ყველგან სადაც ყოფილან, სტუდენტებს უნდათ მეტი დრო საველე პრაქტიკაზეც, რაც აღინიშნა რჩევაში. ლაბორატორიული ბაზა შეესაბამება პროგრამის შედეგებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელი, იოსებ სალუქვაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება მიესალმება ორივე პროგრამაში არსებულ რეკომენდაციას ბაზებთან დაკავშირებით, რადგან, რაც უფრო კარგი ბაზა იქნება უკეთესია, გარკვეული ნაწილი პროექტებით არის შეძენილი, რადგან დაფინანსება საკმაოდ რთულია, მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, რომლებზეც მხოლოდ სტუდენტთა დაფინანსება არის მიბმული და ამ რესურსი გამოყენება არა პირველი რიგის საკითხებზე, რთულია. ყოველწლიურად ძვირდება პრაქტიკები, რადგან ძვირდება მისი შემადგენელი ნაწილები, დაწესებულების წარმომადგენლებს გაუხარდათ აღნიშნული რჩევა, რადგან საფუძველი მიეცათ აღნიშნულ საკითხზე საუბრის გაგრძელებისა, ამ ეტაპზე იმ მიზნებისთვის, რომელიც მისაღწევია სამივე დონეზე სრულიად საკმარისია. ამ ეტაპზე შესაძლებელია, მხოლოდ სამი ფორმატის დაბეჭდვა, თუმცა „დიჯიტალ“ ტექნოლოგიებმა მოიტანა ის, რომ არათუ რუკები, არამედ წიგნიც კი ფიზიკურად არ იბეჭდება, თუმცა მათ მოახერხეს ერთი წიგნის „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“ დაბეჭდვა, მაგრამ ეს

კეთდება, როგორც Outsource, მომავალში გაათვალისწინებინებენ ხელმძღვანელობას, რომ უკეთ გაკეთდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით, სადაც გაცემულია რჩევა - „სასურველია, სილაბუსების შინაარსისა და ლიტერატურის გადახედვა საფეხურების მიხედვით გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით“, სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინათ თუ რომელ სასწავლო კურსებზე იყო საუბარი. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა თქვა, რომ სტუდენტების მხრიდან იყო ინიციატივა პრაქტიკული ნაწილის გაძლიერების შესახებ, შესაბამისად საინტერესოა თუ ნახა ექსპერტთა ჯგუფმა პრაქტიკის მემორანდუმები, რამდენად საკმარისია იმისთვის, რომ მოიცვას სტუდენტთა ნაკადი აღნიშნულ საფეხურზე. აქაც იყო რჩევა დასკვნით გამოცდაზე, მინიმალური, 11 ქულის გადალახვის შესახებ. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფი სავარაუდოდ გაეცნობოდა სამაგისტრო ნაშრომებს, რომელებიც საბჭოსთანაც იყო წარდგენილი, დაინტერესდა თუ როგორ შეაფასებდნენ სამაგისტრო ნაშრომების შინაარსობრივ მხარეს და გაფორმების წესების დაცვას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნოდარ ფოფორაძის, განცხადებით გადაფარვის შესახებ დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ბაკალავრიატის სასწავლო კურსი „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“ და მაგისტრატურის „სოციალური კვლევის მეთოდები“ გარკვეული საკითხებით და შესაბამისი ლიტერატურით მსგავსია, ამიტომ გაიცა რჩევა - „სასურველია, სილაბუსების შინაარსისა და ლიტერატურის გადახედვა საფეხურების მიხედვით გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით“.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ მნიშვნელოვანია შინაარსი, დაინტერესდა იყო თუ არა საუბარი შინაარსობრივ გადაფარვაზეც.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გარკვეული საკითხები მსგავსია.
ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, განაცხადა, რომ საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე არის ერთ-ერთი ავტორი, რომელმაც კითხვაზე უპასუხა, რომ თუ ჩავიდოდნენ დეტალებში იყო განსხვავებებიც, რაც ძალიან მცირე პროცენტია, ასევე გამიჯნულია, ბაკალავრიატში არის ქართულენოვანი და მაგისტრატურაში ინგლისურენოვანი, მაგრამ, რადგან ეს ძალიან მცირე პროცენტი იყო, ამიტომ გაიცა რჩევის სახით. ერთი შეხედვით არის გადაფარვები, მაგრამ სასწავლო კურსის ავტორმა განმარტა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე ჩადის სიღრმეებში, იყენებს/აკეთებინებს სხვა ტიპის დავალებებს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ პრაქტიკის ბაზის შესახებ განაცხადა, რომ სავსებით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნას, რაც მაგისტრანტს სჭირდება, საველე პრაქტიკაზე თავისუფლად შეუძლია მიიღოს ის უნარები, რაც საველე პრაქტიკას მოეთხოვება, თუმცა შეხვედრებზე, სტუდენტები/კურსდამთავრებულები მოითხოვენ უფრო მეტს, რაც არ ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ პრაქტიკის გავლის საშუალება, მითუმეტეს, სამაგისტრო ნაშრომები მართლაც მაღალი დონისაა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებსა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელმა, ნინო ქიმერიძემ, განაცხადა, რომ ეს იყო პირველი ფაკულტეტი, რომელმაც გაიარა Turnitin-ის, პლაგიატის დამდგენ პროგრამაზე, ყველაზე დიდი რაოდენობით არის ატვირთული, შესაბამისად გაწერილია პროცედურები და შეუძლებელია ტექნიკურად რაიმე ხარვეზი იყოს, როგორ არის ნაშრომი მომზადებული, რამდენად ვალიდურია, ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ამ მიმართულებასაც, არამარტო შინაარსობრივ და კვლევით ნაწილს.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი გეოგრაფია Human Geography
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.07.2012 გადაწყვეტილება №279
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საზოგადოებრივი გეოგრაფია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი გეოგრაფიის დორტორი PhD in Human Geography
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სოციოლოგია და კულტურის კვლევები - 0314
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. №1, №8, №14, თსუ-ს კორპუსები I, VI და IV; თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: ხუთივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ, განაცხადა, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაც ძალიან საინტერესოა, ასევე საინტერესოა დოქტორანტების მიერ შემუშავებული ნაშრომები, მაღალ დონეზეა, როგორც პლაგიატის თვალსაზრისით, ასევე შინაარსობრივი მხარე, მათ საშუალება აქვთ არამარტო საქართველოში, არამედ მემორანდუმით გათვალისწინებულ სხვადასხვა უცხოეთის კვლევით უნივერსიტეტებში ერთობლივი ნაშრომი შეადგინონ, ამ მიმართულებითაც იყო რამდენიმე გამორჩეული ნაშრომი. დოქტორანტურის პროგრამაც საერთო ჯამში უზრუნველყოფილია, გარკვეულწილად დოქტორანტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ სასურველი იყო პრაქტიკის დაფინანსების რაოდენობა გაზრდილიყო, რათა საშუალება ჰქონოდათ ახალი რეგიონების პრაქტიკის ბაზებზე, თუმცა უნივერსიტეტის რესურსი სრულად აკმაყოფილებდა დოქტორანტურის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო პავლიაშვილმა, განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამის საფეხურზე არ იგულისხმებოდა პრაქტიკა, რადგან დოქტორანტები ორიენტირებულნი არიან კვლევაზე, დაწესებულება ძალიან უწყობს ხელს დოქტორანტებს, რომ ეს კვლევა ან საქართველოში ან მის საზღვრებს გარეთ ჩაატარონ, მობილობის ფარგლებში ძალიან დიდი შესაძლებლობები ეხსნებათ.
პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ სალუქვაძემ, დასძინა, რომ ყოველწლიურად არსებობს მიზნობრივი დაფინანსება, პირველ რიგში დოქტორანტებისთვის, რათა ჩაატარონ ერთწლიანი კვლევა, თანხებია გამოყოფილი საველე სამუშაოებისთვის, ამას ემატება ის პროექტები, რაც პროფესურას აქვს, რომელშიც დოქტორანტები ყოველთვის ჩართულნი არიან. ასევე, უნდა ახსენონ რუსთაველის ფონტი, სადაც დოქტორანტებს ხელმძღვანელთან ერთად აქვთ დაფინანსება, რადგან სხვანაირად დაფინანსება არ აქვთ დოქტორანტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 2.3 კომპონენტში გაცემულია რჩევა - „სასურველია, უფრო მეტი სასწავლო კურსის გატარება დოქტორანტებისთვის შესაბამისი სპეციალობით“, აღსანიშნავია, რომ ეს არის სადოქტორო პროგრამა, რომელიც კვლევითი სამეცნიერო მიმართულებით უნდა იყოს გაჯერებული, დაინტერესდა თუ რატომ გაიცა აღნიშნული რჩევა. გაცემულია რჩევა - „სასურველია, სილაბუსების შინაარსისა და ლიტერატურის გადახედვა საფეხურების მიხედვით გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით“ და ასევე, რჩევა „სასურველია, დამსაქმებლების რჩევების მეტად გათვალისწინება პროგრამის ფუნქციონირებაში“. თუმცა პროგრამაში წარდგენილი იყო შრომის ბაზრის ანალიზი და

დაინტერესდა თუ რა დააკლდა ექსპერტთა ჯგუფს. მისი მოსაზრებით არანაკლებ მნიშვნელოვანია რჩევა - „სასურველია, დოქტორანტებს ჰყავდეთ თანახელმძღვანელი შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალიდან“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რჩევების უმეტესობა დაწერილია დოქტორანტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად. სასწავლო კურსებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ სპეციალობით არცერთი სასწავლო კურსი არ არის დოქტორანტურაში, ამიტომ კარგი იქნება, თუ თეორიული სასაწავლო კურსი იქნებოდა წარმოდგენილი. გადაფარვის შესახებ, აღნიშნა, რომ დოქტორანტურაშიც არის მსგავსი საგნები, მსგავსი შინაარსითა და ლიტერატურით. მისი მოსაზრებით დამსაქმებლები მოტივირებულნი და კმაყოფილნი არიან კურსდამთავრებულებით და სურთ უფრო მეტი ჩართულობა იყოს მათი მხრიდან, რომ მეტად იყვნენ ჩართულნი არა მარტო პროგრამის განხორციელებაში, არამედ ერთობლივი ხელმძღვანელობით.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ მან შეამჩნია სასწავლო კურსი „პროფესორის ასისტენტობა“ სავალდებულო და არჩევით კურსებად, დაინტერესდა თუ რამ განაპირობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო პავლიაშვილმა, განაცხადა, რომ სასწავლო კურსი არის მხოლოდ ერთი, დოქტორანტურაში აქვთ სავალდებულო წინაპირობები, როგორიცაა პროსპრქტუსის წარდგენა და გასაუბრება, ამიტომ დოქტორანტები საკმაო ფილტრს გადიან მიღებამდე, თუმცა ძირითადად მათი კურსდამთავრებულები მიდიან, თუკი გაჩნდა რაიმე საჭიროება და აღმოჩნდა, რომ სტუდენტს სჭირდება რაღაც ცოდნის შევსება, კურიკულუმს მიღმა შეუძლია აიღოს ნებისმიერი საგანი მაგისტრატურაში. სილაბუსთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ მხოლოდ ერთი საგანია და რეაკრედიტაციის პროცესში აღნიშნული გადაფარვა გადაიხედა და ჩასწორდა. მისი ინფორმაციით დამსაქმებლებს თეორიულ ცოდნასთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ, მხოლოდ პრაქტიკული უნარებზე ისმის ხოლმე. არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს თანახელმძღვანელის ყოლა, თუკი აღმოჩნდება, რომ დოქტორანტს სჭირდება სპეციფიური მიმართულების თანახელმძღვანელი, დაწესებულებას კარგი ურთიერთობა აქვს გეოგრაფიის ინსტიტუტთან, რომელიც უკვე უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ არის გაერთიანებული. ასევე, ჰყავთ დოქტორანტი, რომელსაც ყავს თანახელმძღვანელი ციურიხის უნივერსიტეტიდან, თუ საჭიროება ჩნდება არანაირი პრობლემა არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ინფორმაცია გადაფარვებთან დაკავშირებით, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რაკრედიტაციის შემდეგ მოხდა ცვლილება, დაინტერესდა რომელ სასწავლო კურსზეა საუბარი და იგულისხმება თუ არა ცვლილება ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო პავლიაშვილმა, განაცხადა, რომ საუბარია ერთადერთ სასწავლო კურსზე კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში, რომლებზეც არის საუბარი.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს საუკეთესო შიდა შეფასების მექანიზმები და აქვთ ძალიან კარგი პორტალი, რის გამოც მადლობა გადაუხადა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომლებიც ძალიან ცდილობენ და უდიდესი შრომა არის ჩადებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი გოგსაძემ, განაცხადა, რომ 2023 წელს მიმართულებას უსრულდება 100 წელის, 1923 წელს შეიქმნა ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრა, იმის შემდეგ რამდენჯერმე შეეცვალა სახელი, ახლა საზოგადოებრივი გეოგრაფია ქვია, თუმცა მარკეტინგული თვალსაზრისით საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებს შეეცვალათ სახელწოდება. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ობიექტური შედფასებისათვიის.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო პავლიაშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი იყო კეთილგანწყობილი, იყო სამუშაო გარემო ყოველი პანელის შეხვედრის დროს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ სალუქვაძემ, დაწესებულების წარმომადგენლებს შეახსენა კითხვა პროფესორის ასისტენტობის შესახებ.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო პავლიაშვილმა, განაცხადა, რომ პროფესორის ასისტენტობა აქვთ როგორც სავალდებულოში ასევე არჩევითში, რადგან სტუდენტებს სჭირდებათ სასწავლო კომპონენტში 30 ქულის დაგროვება და თუ ვერ ახერხებენ არჩევითში არის სხვა საგნის პროფესორის ასისტენტობა თუ მოინდომებენ.
პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ სალუქვაძემ, დასძინა, რომ 5 კრედიტი არის სავალდებულო, დანარჩენს თვითონ ირჩევენ.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია ერთიდაიგივე საგანს შორის რა განსხვავებაა.
პროგრამის ხელმძღვანელმა, იოსებ სალუქვაძემ, განმარტა, რომ 5 კრედიტი ყველა დოქტორანტისთვის არის სავალდებულო, რომელიც მან აუცილებლად უნდა აიღოს პროფესორის ასისტენტობა, მაგრამ სტუდენტებს სურვილის მიხედვით შეუძლიათ უფრო მეტი კრედიტი აიღონ, რაც გადადის არჩევითში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებსა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელმა, ნინო ქიმერიძემ, განაცხადა, რომ ხარისხის სამსახურსაც ჰქონდა მსჯელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ფაკულტეტი შესაძლებლობას აძლევს დამატებით, სხვა პროფესორთან აიღოს, თუ კვლევა მიდის ინტერდისციპლინურად, სტუდენტს აქვს ინტერესი მისი კვლევითი ნაწილი გაიღრმავოს სხვა პროფესორთან, აინტერესებს სხვა საგანში უნარების გააქტიურება, სწორედ ამ შემთხვევაში იღებს სტუდენტი უკვე სხვა პროფესორთან ასისტენტობას.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი, დაინტერესდა იგივე აქტივობას ასრულებს თუ არა სტუდენტი და იღებს ცოდნას სხვა პროფესორთან.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებსა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელმა, ნინო ქიმერიძემ, განმარტა, რომ სტუდენტი მიდის და კონკრეტულ პროფესორს ეუბნება, რომ სურს მასთან ასისტენტობის გავლა კონკრეტული მიმართულებით, რომ თუ რომელიმე საფეხურზე ასწავლის ამ დისციპლინას ჰქონდეს ის ტექნიკები, რაც დასჭირდება.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო პავლიაშვილმა, განაცხადა, პრაქტიკაში არ დასჭირვებიათ, რადგან დარგობრივი საგნით, სემინარითა და ერთ ასისტენტობით ისინი მოიპოვებენ სავალდებულო კრედიტებს.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი, დაინტერესდა კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით, რადგან წარმოდგენილია რამდენიმე ნაწილად, საბოლოოდ კი არის დისერტაციის დაცვა, წინა ეტაპები კოლოკვიუმი და ა.შ. ცალ-ცალკე ფასდება, თუ რატომ არის დაშლილი.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო პავლიაშვილმა, განაცხადა, რომ კვლევით კომპონენტი სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1 და 2, კოლოკვიუმს რომ ეძახდნენ ის არის, მესამე შემოტანილია აპრობაცია, რომ დისერტაციის წინ დოქტორანტმა სრულად წარადგინოს დისერტაცია, რამდენად შეესაბამება მოთხოვნებს, იმსახურებს თუ არა დისერტაციაზე დაშვებას, აპრობაცია ხდება მიმართულებაზე.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებსა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელმა, ნინო ქიმერიძემ, განმარტა, რომ შეფასება განმავითარებელია, ბოლო, მესამე კოლოკვიუმი გულისხმობს დაიშვება თუ არ დაიშვება, ეს არ არის შეფასებითი ნაწილი.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, დააზუსტა ამ ყველაფრით ეძლევა თუ არა სტუდენტს დაცვაზე გასვლის უფლება.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებსა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელმა, ნინო ქიმერიძემ, აღნიშნა, რომ აქვთ დაბეჭდვა

მაღალი ხარისხის პერიოდიკაში, რაც ერთ-ერთი წინაპირობაა დაშვების, ასევე მას უნდა ჰქონდეს პროექტის 3 საფეხური განვითარებული, რაც არ ფასდება, ისევე როგორც, არ ფასდება სტატია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:27
დასრულების დრო: 16:41

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
1.1 მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის მიზანი და მეტი ყურადღება გამახვილდეს ტურიზმის სფეროზე.
2.3 ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საჭიროების, გადახედვა;

რეკომენდებულია, გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში პასუხისმგებებლობის და ავტონომიურობის მიზანშეწონილობა.

სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები, რაც მთლიანობაში პროგრამას გახდის თანმიმდევრულს და ლოგიკურად დალაგებულს.

რეკომენდირებულია, გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები.

რჩევები:
1.1 სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მეტად გაფართოება, მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება გეოგრაფიის მიმართულებით საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან გაცვლითი პროგრამების უფრო მეტი უზრუნველყოფისათვის ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში;
2.3 სასწავლო კურსის სილაბუსში ლექციების 15 კვირეულ თემებთან ერთად აუცილებელია პრაქტიკუმის თემების ჩაშლა;

უცხოური თანამედროვე ლიტერატურის მეტი რაოდენობით მითითება სილაბუსებში, მითუმეტეს სტუდენები სწვალობენ უცხო ენას - ინგლისურს საფუძვლიანად, რაც მათ დაეხმარებათ გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ინფორმაციები შესაბამისი სასწავლო კურსის ირგვლივ;

სასურველია დასკვნით (საბოლოო) გამოცდაზე დაშვების წინაპირობის მინიმალური 11 ქულის გადახედვა;

2.4 სასურველია ახალ რიდერებთან, სალექციო კურსებთან ერთად თანამედროვე სახელმძღვანელოების გამოშვება.
2.6 სასურველია, რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს დასწრების კომპონენტის შეფასების რელევანტურობა.
4.3 სასურველია, ლაბორატორიული ბაზის შემდგომი გაუმჯობესება, რუკების დასკანერებისა და მათი დიდ ფორმატში ბეჭდვის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით.
4.4 სასურველია, გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის დაფინანსების წილი, რათა პრაქტიკები კიდევ უფრო მაღალეფექტურობით განხორციელდეს და გაიზარდოს მისი მასშტაბებიც.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რჩევები:

1.1 სასურველია სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება;
2.3 სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსში ლექციების 15 კვირეულ თემებთან ერთად პრაქტიკუმის თემების ჩაშლა;

სილაბუსებში აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალა. ეს ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან თსუ-ში და ამავე დროს, უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები.

2.4 სასურველია შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო პერსონალის სასწავლო პროცესში მეტად ჩართვა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.
2.6 სასურველია, დასკვნით (საბოლოო) გამოცდაზე დაშვების წინაპირობის მინიმალური 11 ქულის გადახედვა და მისი გაზრდა;
4.3 სასურველია, ლაბორატორიული ბაზის შემდგომი გაუმჯობესება, რუკების დასკანერებისა და მათი დიდ ფორმატში ბეჭდვის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით.
სასურველია, სტუდენტების ცნობიერების ამაღლება არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების არსებობასთან დაკავშირებით.
4.4 სასურველია, გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის დაფინანსების წილი, რათა პრაქტიკები კიდევ უფრო მაღალეფექტურობით განხორციელდეს და გაიზარდოს მისი მასშტაბებიც.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
2.3 რეკომენდირებულია, გადაიხედოს ორი იდენტური დასახელების სასწავლო კურსის - „პროფესორის ასისტენტობა“ სახელწოდება, კრედიტების მოცულობა და სწავლის შედეგები

რჩევები:
4.2 სასურველია დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში ჰყავდეთ თანახელმძღვანელი შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალიდან.
5.2 სასურველია, პროგრამას გარე შემფასებლად ქართველ შემფასებელთან ერთად ყავდეს ასევე უცხოელი ექსპერტი, მით უფრო რომ უსდ-ს გააჩნია საინტერესო კონტაქტები და ურთიერთოებები ევროპის და აშშ-ს უნივერსიტეტებთან.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

16:44 საათზე სხდომა დატოვა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება Political Science
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება №279
5		პოლიტიკის მეცნიერება

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	Political Science
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Arts in Political Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის №8, 14, თბილისი, კორპუსი IV, VI, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი,

მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანნა მაჩიტიძემ, განაცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამის შესახებ არსებული დასკვნა შედგენილია, როგორც ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე, ასევე, ვიზიტამდე და მის შემდეგ შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დამატებითი მასალის შესწავლის საფუძველზე. მან მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს პროცესის მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ეფექტური კომუნიკაციისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:
1. რეკომენდებულია, საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსი „გამოყენებითი ეკონომიკა“ და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ გახდეს სავალდებულო, რათა უკეთ იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი სუბდისციპლინების ობიექტებსა და განვითარების დინამიკის შესწავლის ნაწილში;
2. სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შინაარსის უფრო ეფექტიანი ათვისებისათვის, მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები რიგი საგნების შემთხვევაში: სავალდებულო სასწავლო კურსების „პოლიტიკური კომუნიკაცია“, „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“, ასევე არჩევითი სასწავლო კურსების „შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში“, „პოლიტიკური ანთროპოლოგია“, „დემოკრატია და მოქალაქეობა“, „პოლიტიკური კულტურა“, „დემოკრატიზაცია და ტრანზიცია“ შემთხვევაში წინაპირობად დაემატოს „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“; „გლობალიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები“ არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში წინაპირობად დაემატოს „მსოფლიო პოლიტიკა“; „კავკასიის შედარებითი პოლიტიკის“ არჩევით სასწავლო კურსს წინაპირობად დაემატოს „შედარებითი პოლიტიკა“;

2.3. სასწავლო კურსი:
3. რიგ სასწავლო კურსებში, მაგალითად, „არჩევნები და საზოგადოება“, „გენდერი პოლიტიკურ კონტექსტში“, „გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა“, „დემოკრატია და მოქალაქეობა“, „ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა“, „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ და სხვა, რეკომენდებულია, აქტივობის კომპონენტის შეფასების გადახედვა (დასწრებას ენიჭება ცალკე ქულა).
ასევე დაფიქსირდა საუკეთესო პრაქტიკა:
● საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო მობილობის პროცესებში, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, შეისწავლონ პოლიტიკის მეცნიერების დარგის შესწავლის საერთაშორისო გამოცდილება;

● საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის შემოთავაზებული საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციების რაოდენობა, რომელიც ორგანიზებულია უნივერსიტეტის მიერ როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორობით;
● საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია პროგრამის მიერ შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების შთამბეჭდავი არჩევანით შემდეგი მიმართულებებით: პოლიტიკური თეორია; შედარებითი პოლიტიკა, რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა; საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება; სამოქალაქო განათლება და აქტივიზმი;
●საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტისა და შიდა ექსპერტირების პროცესის ეფექტური ფუნქციონირება, დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ჩართულობის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მალხაზ მაცაბერიძემ, განაცხადა, რომ სასწავლო კურსი „გამოყენებითი ეკონომიკა“ საფაკულტეტო სასწავლო კურსებს განეკუთვნება, ანუ აღნიშნული ფაკულტეტის ყველა მიმართულებისთვის საერთო საგნებს წარმოადგენს და საკითხი მისი სავალდებულოდ გადაქცევის შესახებ უნდა დაისვას ფაკულტეტზე. რაც შეეხება არჩევითი კურსის „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლების“ სავალდებულოდ გახდომის შესახებ, დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას და აღნიშნული კურსი გადამუშავების შემდეგ სავალდებულო სასწავლო კურსების კატეგორიაში გადავა, თუმცა ამავე დროს იცვლება თანაფარდობა სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის, მცირდება, ისედაც 60 სავალდებულო კრედიტია, გაიზრდება, რაც სტუდენტთა უკმაყოფილებას იწვევს ხოლმე. წინაპირობებთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ მან აღნიშნა, რომ შედეგია იმ სასწავლო პროცესის რეალობის, რასაც წლების მანძილზე აწყდებოდნენ, კერძოდ წინაპირობების გაზრდა იწვევს Minor სტუდენტების უკმაყოფილებას, რადგან მათ ურთულდებათ სასწავლო კურსის შესრულება და რაც მთავარია, სხვა ფაკულტეტებიდან იყო შემთხვევები, რომ მოდიოდნენ კონკრეტული საგნების ასარჩევად, მაგ., აინტერესებდათ „კავკასიის შედარებითი პოლიტიკა“ და არ აინტერესებთ ზოგადად „შედარებითი პოლიტიკა“. ერთი მეოთხე კურსელი იურისტი მას ეჩხუბა, რადგან სურდა გაევლო „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“ და არა „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში“, მას ეს ერთი საგანი აინტერესებდა, ადრე იყო გაწერილი წინაპირობები, თუმცა შემდეგ მოხსნეს იმ სტუდენტებისთვის, ვისაც თავისუფალი კრედიტების არჩევა სურდათ, გარდა ამისა, არის ზოგიერთი საგანი, მაგ., „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“, „პოლიტიკური ანთროპოლოგიის“ სასწავლო კურსისთვის აუცილებლობას ნაკლებად წარმოადგენს, რადგან ისეთი საგნებია, რომლის გავლა სხვა ფაკულტეტის სტუდენტსაც შეუძლია და არა აღნიშნული მიმართულების სტუდენტებს, დაწესებულება გეგმავს განიხილოს აღნიშნული რეკომენდაცია და შეძლებისდაგვარად შეასრულოს. მესამე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ აღნიშნული შესაძლებელია იყოს ტექნიკური ხარვეზი, რადგან სილაბუსები მოითხოვს დაწვრილებით ჩაშლას თუ რაში რა ეწერება და ცხადია აქტივობა დასწრების გარეშე შეუძლებელია, შესაბამისად აქ უბრალოდ არ იყო გაწერილი კარგად. მისი მოსაზრებით, დასწრება სერიოზული პრობლემაა ნებისმიერ უნივერსიტეტში, რადგან თეორიულად შესაძლებელია სტუდენტი არცერთ ლექციას არ დაესწროს და სრული ქულა მიიღოს დასწრებაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განაცხადა, რომ გაეცნო პროგრამას და საკმაოდ საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ არ არის დარგის სპეციალისტი, თუმცა იურისტების იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ყველაზე ხშირ შეხებაშია პოლიტიკის მეცნიერებებთან, შესაბამისად შეუძლია შეაფასოს, როგორც საინტერესოდ აგებული პროგრამა. მან განმარტა, რომ

პროგრამის მიზანი კარგად არის ფორმულირებული, ბულეტებად ჩამოყალიბებული ნაწილიდან მეორე საკითხის შესახებ - „ჩამოუყალიბოს ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების ანალიზის უნარი“, მისი მოსაზრებით, თანამედროვე პოლიტიკური პროცესების ანალიზი, გარდა ცოდნისა, რომელსაც პროგრამა აძლევს მნიშვნელოვანია, კონსტიტუციური სამართლის პრინციპების ცოდნა და ზოგადად სახელმწიფო მოწყობის ცოდნა მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით, რადგან კონსტიტუცია სამართლებრივი დოკუმენტია, თუმცა შესაძლებელია სწორედ იმდენი წილია პოლიტიკის და აქედან გამომდინარე რომ იყოს პოლიტიკის აქცენტები გაკეთებული, შესაძლებელია არ იყოს ცალკე სასწავლო კურსი სახელმწიფო მოწყობის შესახებ, მაგრამ ძალიან დაეხმარებოდა სტუდენტს, პროგრამის მიზნის მიღწევაში, რომ შეაფასოს ის პოლიტიკური მოვლენები, რაც არის პროგრამის მიზანი. მისი შეფასებით, „ადამიანის უფლებები პოლიტიკურ ჭრილში“ კარგი და მნიშვნელოვანი საგანია, თუმცა ლიტერატურასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ 2015 წლის კომენტარები არის მითითებული, რომელი კონსტიტუციის კომენტარების ავტორი თვითონაც არის, მაგრამ მას შემდეგ შეიცვალა კონსტიტუციის რიგი დებულებები და ახლა უკვე რელევანტური ნაკლებად არის, წარდგენილია შედარებით ახალი გამოცემები და კარგი იქნება მათი გამოყენება, შესაძლებელია არსებული კომენტარები დატოვონ და ასწავლონ შედარების კონტექსტში, როგორ შეიცვალა, თუმცა მხოლოდ ეს თუ იქნება უახლეს ცოდნას ვერ მიაწვდიან, რადგან რიგი დებულებები ახალია.

საბჭოს წევრის, დიანა მჭედლიშვილის, განცხადებით, 2.3 კომპონენტში გაცემულია რჩევა - „ისეთ სასწავლო კურსებში, რომლებიც მიმართულია ხშირად ცვალებადი პროცესების შესწავლაზე (მაგ., „ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია“, „რეგიონალური პოლიტიკის სასწავლო კურსები“), და ქართულენოვანი ლიტერატურის განახლება პრობლემურია, სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გზამკვლევების, ასევე წამყვანი ანალიტიკური ცენტრების პოლიტიკის დოკუმენტების და ანგარიშების გამოყენება, რომლებშიც ასახულია კონკრეტულ საკითხთან მიმართებით ბოლო ვითარებების ანალიზი“ - დაინტერესდა თუ რამდენად აქტუალურია ასეთი საგნებისთვის და უნდა იყოს თუ არა რეალურად რჩევა, სთხოვა ესაუბრათ აღნიშნულ საკითხზე. 4.3 კომპონენტში გაცემულია რჩევა - „სასურველია, უსდ-მ სტუდენტები უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო მასალით“, დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია აღნიშნული რჩევა, იმან, რომ პანდემიურ სიტუაციაში უწევთ ელექტრონულად სწავლება დისტანციურ რეჟიმში, რა იყო განმაპირობებელი ფაქტორი, ხომ არ მიდიოდა პროცესი არასრულფასოვნად. ასევე პროგრამის სტრუქტურის შესახებ განაცხადა, რომ პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები დალაგებულია გარკვეულ ბლოკებად, დაინტერესდა, სტუდენტები იღებენ თითოეულ ბლოკს და აქვს კონცენტრაციის დანიშნულება, თუ არეულად შეუძლიათ საგნების აღება, ისე რომ დაიფაროს სხვადასხვა ბლოკებიდან საგნები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამის თითქმის ყველა სილაბუსში პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა არის გაწერილი ძალიან საინტერესოდ, რადგან იმაზე სიღრმისეულადაა წარმოდგენილი, ვიდრე პროგრამის შედეგებში გვხვდება, ექსპერტებს სთხოვა გაეშალათ აღნიშნული საკითხი, თუ რამდენად რელევანტურად იყო წარმოდგენილი თითქმის ყველა სასწავლო კურსში საბაკალავრო საფეხურზე პასუხისმგებლობა-ავტონომიურობაზე გასვლა, ასევე დაინტერესდა დაწესებულების აზრით, თუ როგორ ახერხებს და როგორ აფასებს აღნიშნული კომპეტენციის დადასტურებას, მათ შორის საბაზისო სასწავლო კურსებშიც. ექსპერტებს 2.3 კომპონენტში გაცემული აქვთ ძალიან საინტერესო რჩევა - „სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებს დაემატოს ხელმძღვანელის შეფასება გარდა 2 რეცენზენტის და კომისიის შეფასებისა. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ განხორციელებული კვლევის, მისი თითოეული ეტაპის, განსაკუთრებით კვლევის დიზაინის დაგეგმვის, ადეკვატურ, უწყვეტ და ეფექტიან შეფასებას“ - დაინტერესდა თუ რა გამოიკვეთა გასაუბრების პროცესში, ხელმძღვანელი საერთოდ შეფასების მიღმა რჩება თუ რატომ გახდა აღნიშნული რჩევის გაცემა საჭირო.

პროგრამის ხელმძღვანელი, მალხაზ მაცაბერიძე, სრულიად დაეთანხმა საბჭოს წევრს, ანა ფირცხალაშვილს, რომ პოლიტიკური მეცნიერება სამართლის ისეთ დარგთან, როგორიც კონსტიტუციონალიზმია ძალიან ახლოსაა და ბევრ რამეში კვეთენ ერთმანეთს, მისი დისერტაცია პოლიტიკურ მეცნიერებაში იყო „1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია“, რომელიც დაიცვა 90-იანი წლების შუა ხანებში და არ უშვებდა აღნიშნულ თემას, თუმცა რუსთაველის ფონდის დაფინანსებით გამოვიდა წიგნი, 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება/მიღებასთან დაკავშირებით, რომელსაც სიამოვნებით გადასცემდა ყველა დაინტერესებულ ადამიანს. კონსტიტუციონალიზმისა და კონსტიტუციონალური სამართლის სწავლების შესახებ აღნიშნა, რომ პროგრამაში არის სასწავლო კურსი „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“, რაც უნივერსიტეტმა ელექტრონული სახელმძღვანელოს სახით გამოსცა და ატვირთულია ვებ გვერდზე, თუმცა მოძველებულია, რადგან 2018 წელს გამოვიდა, კონსტიტუცია, კი ძალიან სწრაფად იცვლება, ასე, რომ ზოგჯერ სემესტრს ერთი კონსტიტუციით იწყებდნენ და გზადაგზა სხვა მოწყობა იყო, შემდეგ იცვლებოდა სხვადასხვა მიდგომების გამოყენება/რაღაცეების შეცვლა სჭირდებოდათ ხოლმე, როდესაც სახელმწიფო შენდება ნორმალურია. სასწავლო კურსში „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“ ყოველთვის არის ის საკითხები განხილული, რომელიც კონსტიტუციონალიზმის ნაწილად შეიძლება მიიჩნიონ, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, საპარლამენტო/საპრეზიდენტო რესპუბლიკები, ჰიბრიდული/დემოკრატიული რეჟიმები, ავტორიტარიზმი, თუ გარდა, ამისა არის სხვა კურსები, მაგ., „შედარებითი პოლიტიკა“, რომელიც ზვიად აბაშიძეს მიყავს და ყველა ეს საკითხები განხილულია კონკრეტული სახელმწიფოების დახასიათებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სასწავლო კურსს „ადამიანის უფლებები პოლიტიკურ კონტექსტში“ დაეთანხმა, საბჭოს წევრს ანა ფირცხალაშვილს, რომ ლიტერატურა ძალიან სწრაფად ახლდება და შესაძლებელია კონსტიტუციაში ისეთი ცვლილებები შევიდეს, რომ სილაბუსი მას უბრალოდ ვერ დაეწიოს, შესაძლებელია სტუდენტებისთვის მოუხდეთ გზადაგზა ახალი ლიტერატურის მითითება, ისე, რომ ჰქონდეს ამას თხოვნის სახე, ყოველი გამოტანის წინ ხდება სილაბუსების განახლება. მისი თქმით რჩევაში დასახელებული ზოგიერთ საგანი ე.წ. საფაკულტეტო საგნებს მიეკუთვნება, მიმართულება გადასცემს ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით სილაბუსის ავტორებს. რაც შეეხება ქართულ ენაზე ანალიტიკური ლიტერატურის ნაკლებობას, მას შემდეგ რაც რიგმა ანალიტიკურმა ცენტრებმა ელექტრონული სახით ატვირთეს ეს მასალები, უფროდაუფრო მეტი ოდენობით არის, მაგ., რონდელის ფონდის უზარმაზარი ანალიტიკური მასალები არსებობს მიმდინარე პოლიტიკასთან დაკავშირებით, საშინაო თუ საგარეო საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მათი მიმართულების პროფესორია კორნელი კაკაჩია, რომელსაც აქვს თავისი არასამთავრობო ორგანიზაცია, სადაც სტუდენტებიც მიყავს ხოლმე პრაქტიკაზე და მასაც არა ერთი ძალიან საინტერესო კვლევა აქვს მიმდინარე საშინაო/საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც გამოყენებულია ამ საგნების სწავლების დროს, მაგრამ მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ ბევრის დასაწყისშივე სილაბუსში ასახვა რთული საკითხია. სპეციალობის არჩევითი კურსების შესახებ მან განაცხადა, რომ ეს არის უბრალო დაჯგუფება, ერთი ბლოკის გავლა, რაც დაჯგუფებულია სტუდენტებს არ ევალება, მათ შეუძლიათ აირჩიონ სხვადასხვა ბლოკებიდან, არ არის განსაზღვრული რომელი ბლოკი უნდა გაიარონ, დაჯგუფება არის მათი ინტერესებიდან გამომდინარე, რა საგნები აქვს საბაკალავრო პროგრამას და რისი არჩევა შეუძლია სტუდენტს. ხელმძღვანელის შეფასების შესახებ მან განმარტა, რომ ჰქონდათ ხელმძღვანელის შეფასება და აფასებდა კომისია, ნაშრომის უფრო ობიექტურად შესაფასებლად დაწესებულებამ საჭიროდ ჩათვალა, რადგან სტუდენტი და ხელმძღვანელი ნაშრომს ერთობლივად წარმოადგენენ + ხელმძღვანელი არის კომისიის წევრი, რომელიც საბოლოო ჯამში აფასებს ნაშრომებს, თუმცა არის დათქმა, რომ ხელმძღვანელი თავისი სტუდენტის ნიშნის დაწერაში არ მონაწილეობს, მაგრამ რადგან თვითონ საბაკალავრო ნაშრომების რაოდენობა შეიძლება 40 და მეტიც იყოს ზაფხულის სემესტრში, უნდა შეაფასოს ორმა რეცენზენტმა, თუ მათ შორის სხვაობა იქნება 10 ქულა და მეტი, მესამე რეცენზენტი გამოეყოფა და საგამოცდო კომისია შეაფასებს აღნიშნული საბაკალავრო ნაშრომი. დაწესებულების წარმომადგენელთა აზრით

ხელმძღვანელის შეფასება არის სუბიექტური და იმაზე მეტი, ვიდრე რეალურად ბაკალავრს ეკუთვნის, რამაც შეიძლება გარკვეული უკმაყოფილება წარმოშვას სტუდენტებს შორის, ამიტომ ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ, რომ საბაკალავრო ნაშრომი შეაფასოს ორმა რეცენზენტმა და საგამოცდო კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედის ხელმძღვანელი, რომელიც არ დაუშვებს დადებითი მხარის გადაფარვას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააზუსტა, რომ აღნიშნული კითხვა ხელმძღვანელის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის მიმართ იყო დასმული.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგნელებს შეახსენა კითხვა პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მალხაზ მაცაბერიძემ, განაცხადა, რომ ბაკალავრიატი არის პირველი დონე უმაღლეს განათლებისა, მაგრამ მისი სტუდენტი უნდა იყოს ადამიანი, ვისაც შეეძლება დამოუკიდებელი მუშაობის თავის თავზე აღება, მათ პირობებში ისე გამოდის, რომ საგნის საბაკალავრო საფეხური არა სრული უმაღლეს განათლების სურათივით ჩნდება და სამაგისტრო საფეხური უნდა დაემატოს სრული უმაღლესი განათლებისთვის, მაგრამ ბაკალავრი არის ადამიანი, რომელსაც უნდა შეეძლოს მისი მუშაობის დამოუკიდებლად და ავტონომიურად წარმართვა, სადაც ცხადია პასუხისმგებელი უნდა იყოს თავის მოქმედებასა და საქმიანობაზე, თუ ორიენტირს აიღებენ ამ მიმართულებით, მეტ-ნაკლებად ყველა სილაბუსი იძლევა შესაძლებლობას, არის სილაბუსები, რომლებიც მეტად კვლევით კომპონენტზეა დამყარებული, სილაბუსები ასევე განხილულ იქნა საფაკულტეტო/საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და მასში შეუსაბამობა ვერ ნახეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანნა მაჩიტიძემ, განაცხადა, რომ მათ განიხილეს პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის საკითხი, სანამ ემზადებოდნენ ვიზიტისთვის, ეს იყო ერთ-ერთი საგანი, რაზეც გაამახვილეს ყურადღება, გასაუბრებების ფარგლებში ამოწმებდნენ აკადემიური/მოწვეული პერსონალი რამდენად უზრუნველყოფს პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას, რამდენად აქცევს ყურადღებას, ასევე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან შეამოწმეს თუ რამდენად უზრუნველყოფს პროგრამა აღნიშნულ შედეგს, რაზეც პასუხად მიიღეს, რომ პროგრამა საბაკალავრო დონეზე ყურადღებას ამახვილებს პროფესიული უნარების განვითარებაზე, პრობლემების გადაჭრის გზებზე და სხვა. მისი თქმით პოლიტიკის მეცნიერების დარგი არის საკმაოდ კომპლექსური და მოითხოვს მრავალფეროვან ცოდნას, რომელიც ეხება ფილოსოფიას, სამართალს, საჯარო მმართველობას და სხვა, ასეთ დარგებში ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საბაკალავრო საფეხურზე ხაზი უნდა იყოს გასმული პასუხისმგებლობა-ავტონომიურობაზე, რადგან შემდეგ სტუდენტს სჭირდება არჩევანის გაკეთება თუ რა კუთხით უნდა გააგრძელოს კვლევა. პროგრამის შესწავლის შედეგად ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის მეთოდოლოგიური დატვირთვა საკმაოდ მაღალ დონეზეა, ანუ შედეგი უზრუნველყოფილია. მისი განმარტებით, ლიტერატურის დამატება გაწერილია რჩევად, რადგან დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში ეწერა, რომ წარდგენილია დამატებით მასალაში, ამიტომ გადატანილია რჩევაში. პროგრამაში ჩართული პროფესორები თვითონ არიან დამფუძნებლები/წევრები საქართველოში წამყვანი ანალიტიკური ცენტრების, რაც მნიშვნელოვანია განვითარებისთვის გაითვალისწინოს დაწესებულებამ. ელექტრონული მასალის შესახებ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს და გამოვლინდა, რომ მასალების უზრუნველყოფა მაღალ დონეზეა უნივერსიტეტის მხრიდან, უბრალოდ ელექტრონული მასალების გამრავალფეროვნება უნდა მოხდეს და ზოგჯერ შესაძლებელია გვიან მოხდეს მასალების ატვირთვა, რის გამოც მთლიანი სტანდარტის დახარვეზება არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ საჭიროა მეტი ყურადღება გაამახვილოს დაწესებულებამ. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების შესახებ ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ხელმძღვანელმა ყველაზე კარგად იცის თუ როგორ იმუშავა სტუდენტმა, ამ პროცესში ყველაზე კარგად არის ჩართული, შესაბამისად რეცენზენტების გარდა, საჭიროა ხელმძღვანელის შეფასება, არა მხოლოდ ექსკლუზიურად ხელმძღვანელის შეფასება, არამედ რეცენზენტებთან ერთად კარგი იქნება პროგრამის განვითარებისთვის. ნაშრომის

ხელმძღვანელის ჩართულობის შესახებ მან განაცხადა, რომ თვითონ დაცვისთვის მომზადების პროცესში არის ჩართული.
საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის, გაცხადებთ, ხელმძღვანელი რეცენზენტებს უგზავნის ნაშრომს, მისი შეფასების გარეშე ვერ გადაიგზავნება, თუ ხელმძღვანელმა თქვა, რომ ეს ნაშრომი არის მზად, არის იმ კონდიციამდე, რომ შესაძლებელია რეცენზენტთან გადაგზავნა და შემდეგ კომისიური წესით კიდევ აფასებს ნაშრომს არის თუ არა მაინც საჭირო ხელმძღვანელის მიერ კიდევ შეფასება. მისი მოსაზრებით, ყველა პროფესიაში პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას განსაკუთრებული როლი აქვს და ძლიან კარგია, რომ ბაკალავრს ასე ამზადებს პროგრამა, თუმცა მისი კითხვა გულისხმობდა იმას, რომ რიგ სილაბუსებში ავტონომიურობა იმაზე ღრმად არის გაწერილი ვიდრე პროგრამის შედეგებშია, რომელთა შესაფასებლად მეთოდებში რაიმე აქტივობა უნდა იყოს, რაც დაადასტურებს, რომ შეუძლია სტუდენტს, სწავლების მეთოდებში კი არც „ქეისია“, მიდის სტანდარტულად დისკუსიები, ჯგუფური მუშაობა და სხვა, დასწრება ფასდება 10 ქულით, ასევე არის „ქვიზი“, რომელიც ღია/დახურული კითხვებით ფასდება და შუალედური, რომელიც ასევე ღია/დახურული კითხვებით ფასდება, დაინტერესდა, თუ რამდენად შესაძლებელია ღია/დახურული კითხვებით აღნიშნული უნარების შეფასება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანნა მაჩიტიძემ, ხელმძღვანელთან დაკავშირებით განმარტა, რომ შეფასების ფორმებში პირველ და მეორე რეცენზენტს ჯამურად აქვთ 60 ქულა, ზეპირი წარდგენის შედეგად კი 40 ქულას იღებს, კარგი იქნება, რომ ამ 60 ქულაში ხელმძღვანელმაც შეაფასოს სტუდენტის მუშაობა. ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების შესახებ მან განაცხადა, რომ არის დისკუსიებში მონაწილეობის ქულა, სადაც ვლინდება სტუდენტის პოზიცია და მისი მოსაზრებები, შესაბამისად მნიშვნელოვანია.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განაცხადა, რომ გადახედა „პოლიტიკური სისტემის“ სილაბუსს, სადაც მეთერთმეტე ლექცია, საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, კრებული ადამიანის ძირითადი უფლებები-თავისუფლებები და საკანონმდებლო აქტების კრებული, რომელსაც 2007 წელი უწერია, მას შემდეგ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა ამ მიმართულებით, ურჩია, რომ არც მიეთითებინათ, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამით არ ხელმძღვანელობდნენ, რადგან, მაგ., საკონსტიტუციო სასამართლომ დაჩეხა კანონი, მანიფესტაციების შესახებ, სილაბუსში შესაძლებელია მიეთითოს „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ გვერდი.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მალხაზ მაცაბერიძემ, განაცხადა, რომ როგორც მან აღნიშნა, აღნიშნული წიგნი 2017 წელს გადასცა გამოსაცემად, თუმცა მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა,
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, დასძინა, რომ 2007 წელი წერია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მალხაზ მაცაბერიძემ, განმარტა, რომ გადაცა 2017 წელს, მაგრამ, რადგან ეს არის ელექტრონული გამოცემა და ვეღარაფერს შეცვლიან, თუმცა აღინიშნა, რომ უკვე მოძველდა, მაგ., არის საპარლამენტო, საპრეზიდენტო მოდელებზე საუბარი და კონსტიტუციური სამართლის იმ ძირითად საკითხების განხილვა ხდება, E-learning-ზე ატვირთულია ყველა სალექციო კურსის მასალა განახლებული სახით.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განაცადა, რომ თუ სურდათ შესაძლებელია გაესწორებინათ სილაბუსში.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მალხაზ მაცაბერიძემ, განაცხადა, რომ ამოიღებდნენ აღნიშნულ კრებულს სილაბუსიდან.
საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის, მოსაზრებით უკეთესი იქნება, რადგან ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ 2007 წლის კანონებით ასწავლიან.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება Political Science
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება №287
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება Political Science
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი Master of Arts in Political Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის №8, №14, თბილისი, კორპუსი VI, IV, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანნა მაჩიტიძემ, საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული

რეკომენდაციები:
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:
1. რეკომენდებულია, სამაგისტრო კვლევის წინაპირობებად განისაზღვროს პროგრამის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი;
2. რეკომენდებულია, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა გახდეს არჩევითი სასწავლო კურსი, ხოლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს დაემატოს შედარებითი პოლიტიკის სასწავო კურსი, რომლის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
2.3. სასწავლო კურსი:
3. რეკომენდებულია, „სპეციალიზებული ინგლისური ენის“ არჩევითი სასწავლო კურსის შინაარსი და შეფასების კომპონენტები გახდეს მეტად ორიენტირებული პოლიტიკის მეცნიერებისთვის ამსახველ ტერმინოლოგიაზე, რთულ და კომპლექსურ კონცეფტების ანალიზზე, მათ გამოყენებაზე სხვადასხვა ანალიტიკური და კვლევითი დოკუმენტების წერის დროს.
გამოვლინდა საუკეთესო პრაქტიკა:
● საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალის მაღალი ხარისხი და წვლილი პოლიტიკის მეცნიერების დარგის განვითარებაში;

● საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და წვლილი არამხოლოდ დარგის განვითარებაში, არამედ მის ფორმირებაში როგორც საქართველოში, ასევე რეგიონის მასშტაბით;
● საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნება და თემატური ჯგუფების მიხედვით შემოთავაზება, რაც სტუდენტეს უქმნის საფუძველს კონკრეტული პოლიტიკის მეცნიერების ქვე-მიმართულების სიღრმისეული შესწავლისათვის;
● საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტისა და შიდა ექსპერტირების პროცესის ეფექტური ფუნქციონირება, დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ჩართულობის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მალხაზ მაცაბერიძემ, პირველ რეკომენდაციასთან (რეკომენდებულია, სამაგისტრო კვლევის წინაპირობებად განისაზღვროს პროგრამის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი) დაკავშირებით განაცხადა, რომ თუ შეხედავენ პროგრამის რეალობას, რომ 90 კრედიტო არის სავალდებულო და 30 არჩევითი სასწავლო კურსები, რჩევაში გაწერილი იყო - „სასურველია, პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტის მოცულობა გაიზარდოს, რათა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს დარგის ქვე-მიმართულებების სიღრმისეული შესწავლით და შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების ფართო სპექტრით თემატური ჯგუფების მიხედვით“, ამ რეალობაში ბევრი არჩევითი კურსი უბრალოდ მოკვდება, ისეთი ვითარებაა, რომ სამაგისტრო ნაშრომთან სტუდენტის მისასვლელად აბსოლუტური უმრავლესობა ისედაც გაივლის სავალდებულო საგნებს, მაგრამ არის ორი შემთხვევა, როდესაც სტუდენტი უცხოეთში იმყოფება, ბრუნდება და არ აქვს გავლილი რიგი სავალდებულო კურსები ან უბრალოდ ჩაიჭრა რომელიმე სასწავლო კურსში, უნივერსიტეტის რეგულაციით მას უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის დაწერასთან ერთად გაიაროს დამატებით 10 კრედიტი, თუ ამ წინაპირობას ისე შეცვლიან, რომ სამაგისტრო ნაშრომის სემესტრში შეეძლოს სავალდებულო კურსების აღება, მაშინ მისაღები იქნება, მაგრამ ასეთი ხისტი ფორმულირებით სტუდენტებს შეუქმნიან დამატებით პრობლემებს, იმ ადამიანებს, ვინც უცხოეთში იყვნენ, დაბრუნდნენ და აღნიშნული პროგრამის სავალდებულო კურსების გავლა ვერ შეძლეს და ჩაჭრილ სტუდენტს დაემატება სემესტრი.

მეორე რეკომენდაციის („რეკომენდებულია, „პოსტ-საბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა“ გახდეს არჩევითი სასწავლო კურსი, ხოლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს დაემატოს „შედარებითი პოლიტიკის“ სასწავლო კურსი, რომლის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას“) შესახებ, მან განაცხადა, რომ საგანი „შედარებითი პოლიტიკა“ გათვალისწინებულია საბაკალავრო პროგრამაში და ისწავლება კიდევ რამდენიმე სხვა შედარებითი პოლიტიკა, მაგისტრატურაში მათივე სტუდენტს, რომ დახვდეს სასწავლო კურსი „შედარებითი პოლიტიკა“ უკმაყოფილებას გამოიწვევს, მაგისტრატურაში აქცენტი გაკეთებულია პოსტ-საბჭოთა სივრცესა და მის შესწავლაზე, რისი შესწავლაც ყველაზე კარგად შეუძლიათ მათი მიმართულების სტუდენტებს, ბაზრის კვლევაც აჩვენებს, რომ იმ ანალიტიკურ ცენტრებში, რომლებმაც, შესაძლებელია აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები მიიღონ სამუშაოდ ან უკვე მუშაობენ სწორედ ამ რეგიონზე აქვთ აქცენტი კვლევით საქმიანობაზე გადატანილი, ხედავს შემდეგ განვითარებას, დარჩეს პოსტ-საბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა იმ დათქმით, რომ 3 სალექციო კურსის მანძილზე შედარებითი პოლიტიკის შესახებ დამატებით თეორიულ თუ სხვა ხასიათის ინფორმაციას მიაწოდებენ, თუკი „პოსტ-საბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა“ გახდება არჩევითი შესაძლებელია მოკვდეს და 90 კრედიტის ფარგლებში ვეღარ შეძლონ სტუდენტებმა მისი არჩევა.

მესამე რეკომენდაციის („რეკომენდებულია, „სპეციალიზებული ინგლისური ენის“ არჩევითი სასწავლო კურსის შინაარსი და შეფასების კომპონენტები გახდეს მეტად ორიენტირებული

პოლიტიკის მეცნიერებისთვის ამსახველ ტერმინოლოგიაზე, რთულ და კომპლექსურ კონცეფტების ანალიზზე, მათ გამოყენებაზე სხვადასხვა ანალიტიკური და კვლევითი დოკუმენტების წერის დროს“) შესახებ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებსა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელმა, ნინო ქიმერიძემ განმარტა, რომ ძირითადად უნივერსიტეტში წარმოდგენილ უცხო ენათა სილაბუსები ეყრდნობა ევროსაბჭოს მიერ რეკომენდირებული ენების წავლისა და სწავლების სარეკომენდაციო ჩარჩოს მიერ შეთავაზებულ აღმწერს, რომლის მიხედვითაც ადგენენ 6 შედეგს, ეს არის წერა, გაგება, კონვერტიზაცია-ზეპირი კომუნიკაცია, მოსმენა, კულტურის დიალოგი და მედიაცია. ასეთივე ჩარჩო აქვს სასწავლო გეგმას საშუალო სკოლას. რაც შეეხება დარგობრივს, მასში წარმოდგენილია აღწერა, რომ შიგნით იყოს პოლიტიკის გარკვეული თემები, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი და ცენტრალური ადგილი უკავია იმას თუ რა ტექსტის სახეობას სთავაზობენ, იქნება ეს პოლიტიკა, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული თუ სხვა, ფასდება იმ კომპონენტებით, რაც უკვე ჩამოითვალა, შესაბამისად იგულისხმება, რომ შედეგი, როდესაც დგება ე.წ. წერაში, ფასდება თუ რამდენად ახერხებს სტუდენტი სწორედ ისეთი ავთენტური ტექსტის აგებას/პროდუცირებას,, რომელიც სახელდობრ დამახაასიათებელია დარგის ტექსტის სახეობებისთვის, რაც შეეხება, პოლიტიკის თემებს უნდა გაიშალოს შინაარსობრივ ნაწილში და ხვდებოდნენ, რომ სტუდენტი ეცნობამ, მაგ., ახლო აღმოსავლეთის პროცესებს, საგაზეთო სტატიას, ინტერვიუს და ა.შ., ამიტომ აღმწერ ნაწილში, რომელიც მიზნებსა და შედეგებს აღწერს დაწესებულება დებს იმ მომენტს თუ რამდენად ახდენს სტუდენტი პროდუცირებას უკვე დარგობრივი ტექსტის, ამისთვის მას გავლილი აქვს წინა საფეხურები და მინიმუმ B2 დონეზე უნდა იყოს, ამის შემდგომ მოსმენის რეციპირებას და დარგორბივი დიალოგის წარმართვას, ამდენად ასე დეტალურად ჩაშლა არ მიაჩნდა სწორად. მან აღნიშნა, რომ დიდხანს ასწავლიდა განსახილველ ფაკულტეტზე დარგობრივ უცხო ენას და ერთადერთი ფაკულტეტი იყო 90-იან წლებში, რომელსაც ჰქონდა უცხო ენის კურიკულუმი, რომელიც იგივე პრინციპით, როგორც ევრო საბჭოს მიერ არის შეთავაზებული ჰქონდათ გაკეთებული აღწერა. სწორედ იურიდიული დარგობრივი ტექსტი ისეა აგებული პასიური კონსტრუქტებით, ისე უნდა ააგოს სტუდენტმა, რომ ვალიდური იყოს იმ ტექსტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, ინგლისურ ენასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ გაეცნო სილაბუსებს და თვლის, რომ რეკომენდაცია უფრო რჩევის ხასიათს ატარებს, რადგან სილაბუსის დახვეწა მუდმივი პროცესია და განვითარებაზეა ორიენტირებულია, სილაბუსში ნამდვილად არის პოლიტოლოგიის საკითხები ასახული, როგორც მიზნებში და შედეგებში, ასევე შინაარსობრივ ნაწილში, შესაძლოა ზოგიერთი შეფასება იყო ზოგადი, მაგ., დახურული კითხვები, ღია კითხვები და ა.შ., მაგრამ დასკვნით გამოცდაში ესეების შეთავაზება 10 ქულიანია და თუ ეს ეხება დარგობრივი ტექსტის წერას შესაძლებელია ითქვას, რომ შეფასების კომპონენტებიც აკმაყოფილებს, ინგლისური ენის კომპეტენცია უზრუნველყოფილია წინაპირობით, რადგან B2 დონით იღებს, რაც სრულიად საკმარისია და თუ არჩევითი სახით არის შეთავაზებული დარგობრივი ინგლისური ეს უფრო ამდიდრებს პროგრამას. მან მიმართა ექსპერტებს, რჩევის („სასურველია, პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტის მოცულობა გაიზარდოს, რათა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს დარგის ქვე-მიმართულებების სიღრმისეული შესწავლით და შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების ფართო სპექტრით თემატური ჯგუფების მიხედვით“) შესახებ, მან განაცხადა, რომ საკმაოდ მსუყედ არის წარმოდგენილი თემატური ჯგუფები არჩევითების სახით და 20 კრედიტის გარდა +10 კრედიტი აქვს პროგრამას სასწავლო გეგმით, რომელიც შეუძლია ისევ ამ პროგრამიდან აირჩიოს, ჯამში გამოდის, რომ პოლიტიკის საკითხებს შეისწავლის 30 კრედიტის მოცულობით, დაინტერესდა არის თუ არა ეს საკმარისი, მისთვის გასაგებია, რომ რჩევაა, მაგრამ 30 კრედიტი სრულიად საკმარისია არჩევითი კურსებისთვის, როდესაც არჩევითობის პრინციპი ნამდვილად შესრულებულია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ ამ პროგრამაშიც რჩევის სახით მეორდება - „სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებს დაემატოს ხელმძღვანელის შეფასება გარდა რეცენზენტისა და კომისიისა. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ განხორციელებული კვლევის, მისი თითოეული ეტაპის, განსაკუთრებით კვლევის დიზაინის დაგეგმვის, ადეკვატურ, უწყვეტ და ეფექტიან შეფასებას“, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, მართალია რჩევაა, მაგრამ თუ მიდგომა იგივეა, როგორიც საბაკალავრო პროგრამაში და ხელმძღვანელი საბჭოს წევრად ღებულობს მონაწილეობას სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში კიდევ რომ ჩაერთოს ნაშრომის შეფასები პროცესში, ხომ არ დაირღვეოდა ერთჯერადი შეფასების პრინციპი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანნა მაჩიტიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს საუკეთესო პრაქტიკაშიც აქვს აღნიშნული არჩევითი კურსების მრავალფეროვნება და კონცენტრაციების შთამბეჭდავი არჩევანი, რომელიც ხშირ შემთხვევაში პრობლემურია ამ პროგრამისთვის. გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნდათ უფრო მეტი სპეციალიზებული საგნები, რომლებიც ამ კონცენტრაციებიდან იქნება არჩეული და უფრო მეტ სუბ-დისციპლინით შეძლებენ ამ პროგრამის შესწავლას, ამიტომ გაიზიარეს სტუდენტების მოსაზრება და დაწერეს რჩევებში. რაც შეეხება, ხელმძღვანელს შეფასებას, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არის უცვლელი, რადგან მათი მოსაზრებით ხელმძღვანელი ყველაზე კარგად იცნობს სტუდენტის მუშაობას, რამდენად თანმიმდევრულად/უწყვეტად იმუშავა კვლევაზე სამაგისტრო დონეზე, ამიტომ თვლიან რომ პროგრამის განვითარებისთვის უკეთესი იქნება ხელმძღვანელის ჩართულობა და მისი შეფასების ასახვა რეცენზენტების შეფასებასთან ერთად.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება Political Science
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.07.2012 გადაწყვეტილება №275
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი PhD in Political Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის №8, 14, თბილისი, კორპუსი IV, VI, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანნა მაჩიტიძემ, საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული

რეკომენდაციები:

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:

1. რეკომენდებულია, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების შესახებ „ინოვაციური მიდგომების დემონსტრირების გზით სტუდენტებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის ცოდნის გადაცემის“ სწავლის შედეგის მეტად ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის;
2. რეკომენდებულია, დეტალურად გაიწეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების თანამიმდევრობა სემესტრების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის კურიკულუმში მათი ერთობლიობა და ერთმანეთთან კონცეპტუალური ბმა;
3. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილს დაემატოს „თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების“ სასწავლო კურსი, რომელიც ასევე უნდა გახდეს დარგობრივი სემინარის წინაპირობა, რათა სტუდენტებმა სამაგისტრო საფეხურის მომიჯნავე სპეციალობებით დასრულების შემთხვევაში, შეიძინონ შესაბამისი ცოდნა და უნარები იმ აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებისა და კრიტიკული შეფასებისთვის, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ სიღრმისეულ შესწავლას და მეცნიერულ ანალიზს;

2.3. სასწავლო კურსი:
4. რეკომენდებულია “კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები” სასწავლო კურსის ორ ნაწილად გაყოფა კურსებად თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, რათა დოქტორანტმა საფუძვლიანად აითვისოს შესაბამისი და განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომები მისთვის საინტერესო საკითხების მეცნიერული გაანალიზებისთვის.
ასევე, დაფიქსირდა საუკეთესო პრაქტიკა:
● საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალის მაღალი ხარისხი და წვლილი პოლიტიკის მეცნიერების დარგის განვითარებაში;
● საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია დოქტორანტთა კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმები როგორც უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტის მხრიდან;
● საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და წვლილი არამხოლოდ დარგის განვითარებაში, არამედ მის ფორმირებაში როგორც საქართველოში, ისე რეგიონის მასშტაბით;
● საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტისა და შიდა ექსპერტიზის პროცესის ეფექტური ფუნქციონირება, დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ჩართულობის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მალხაზ მაცაბერიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმება პირველ რეკომენდაციას - „რეკომენდებულია, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების შესახებ „ინოვაციური მიდგომების დემონსტრირების გზით სტუდენტებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის ცოდნის გადაცემის“ სწავლის შედეგის მეტად ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის“. რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს, განსახილველი სადოქტორო პროგრამა არის ცენტრალიზებული და საერთო საფაკულტეტო, საგნები „კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში“ ეს არის საფაკულტეტო კურსი, იკითხება დოქტორანტურის ყველა მიმართულებისთვის, მსი ორ ნაწილად გაყოფა, მაგ., მაგისტრატურაში არის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები.

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, სალომე დუნდუამ, განაცხადა, რომ განმახორციელებელი პერსონალისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ის საუკეთესო პრაქტიკები, რაც ექსპერტთა ჯგუფმა გამოყო. რეკომენდაციის შესახებ კი განმარტა, რომ ეს სალექციო კურსი ნამდვილად არის საფაკულტეტო სასწავლო კურსი და ნებისმიერი სადოქტორო პროგრამა, რომელიც აქ შემოვიდა ან შემოვა ფაკულტეტიდან ამავე კურსს შეხვდებიან, რადგან ცენტრალიზებულია აღნიშნული სალექციო კურსი, რაც შეეხება დაყოფას, რაოდენობრივად და თვისებრივად, სამაგისტრო დონეზე გაყოფილია და ამაზე უკვე ისაუბრეს, მისთვის გასაგებია, რომ მხოლოდ თავის კურსდამთავრებულებს ვერ მიიღებენ, თუმცა მთავარი ამოსავალი პრინციპი რატომაც არ ეთანხმებიან არის ის, რომ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მათი მიდგომა არ არის, რომ აუცილებლად რაოდენობრივი/თვისობრივი მეთოდი უნდა გამოიყენოს, სწორედ ამ ჰოლისტური მიდგომის საფუძველზე, როგორც წესი დაცული დისერტაციების უმეტეს ნაწილს ხშირად სჭირდება ორივე ტიპის კვლევა და ერთიანად აკეთებს ინტეგრირებას ნაშრომში, ასე არ უყურებენ, რომ ჯერ ერთი ასწავლონ შემდეგ მეორე, ჯობია მთლიანობაში ისწავლონ, რათა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში კარგად შეძლონ ამ ყველაფრის გამოყენება, თანაც საგანი, რომელიც ისწავლება ამის გამოცდილებას იძლევა, წერენ ნაშრომს, ამიტომ საგანი, რომელიც ფაკულტეტს აქვს განსახილველი პროგრამისთვისაც გამოსადეგია და სხვა სადოქტორო პროგრამებისთვისაც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, მათ მიერ გაცემულ პირველ რეკომენდაციასთან განაცხადა, რომ თუ „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ დაემატება სასწავლო კურსებში, ის შედეგებზე გამსვლელი მაინც ვერ იქნება, ამიტომ იგივე კითხვა აქვს დაწესებულებასთან, ვინაიდან არა მხოლოდ შედეგებზეა საუბარი, რომ სტუდენტებს ცოდნას გადასცემს, არამედ მიზნებშიც წერია, რომ სტუდენტი ემზადება პედაგოგიური მუშაობისთვის, ამიტომ დაინტერესდა თუ რომელ კურსშია ინტეგრირებული აღნიშნული შედეგ/მიზანი, რა პრინციპით არის შესაძლებელი აღნიშნული შედეგის მიღწევა ან ეთანხმებიან თუ არა, რომ „სწავლის თანამედროვე მეთოდები“ უნდა დაემატოს სავალდებულო სახით, რადგან არჩევით საგნად მიზანს ვერ მიაღწევენ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ არის ძალიან საინტერესო სასწავლო კურსი „პროფესორის ასისტენტობა“, რომლის ერთ-ერთი სწავლის შედეგი არის - „დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს და ეფექტურად გამოიყენოს სასწავლო პროცესისათვის საჭირო სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები“, აღნიშნულ სასწავლო კურსში არაფერი არ არის ჩაშლილი სწავლა-სწავლების მეთოდების კუთხით, თუმცა ძალიან საინტერესო სილაბუსია, რეკომენდაცია, რომელიც საბჭოს წევრმაც აღნიშნა სწავლა-სწავლების მეთოდების დამატების შესახებ სავალდებულო სახით ალბათ ამ პრობლემასაც მოხსნიდა, დაინტერესდა ხომ არ გეგმავდა დაწესებულება სწავლა-სწავლების მეთოდების ინტეგრირებას ზემოაღნიშნულ სილაბუსში, ან როგორ შეიძლება დაიფაროს პროგრამის სწავლის აღნიშნული შედეგი, თუკი მსგავს თემატიკაზე არსად არ არის საუბარი.

საბჭოს წევრის, მაკა კაჭარავას, მოსაზრებით, სავარაუდოდ საფაკულტეტო მიდგომაა, რადგან აქაც ორჯერ არის გამეორებული სასწავლო კურსი „პროფესორის ასისტირება“, ერთხელ სავალდებულოდ, ერთხელ არჩევითად, კრედიტიც და სათაურებიც არის ერთნაირი, რაც არ არის სწორი, რადგან თუ სხვადასხვა შედეგზე გადიან სხვადასხვა დასახელება უნდა ჰქონდეს, თუ ერთ შედეგზე გადის ერთი საგანი უნდა იყოს და არა ორად გაყოფილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანნა მაჩიტიძემ, განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ პროფესორის ასისტენტობა არის წარდგენილი, როგორც სავალდებულო კომპონენტი, ექსპერტთა ჯგუფმა მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილია არჩევითი სასწავლო კურსებით ვერ გავლენ შედეგზე, მეტად ეფექტიანი შედეგის უზრუნველყოფისთვის საჭიროდ

ჩათვალა, ზემოაღნიშნული სასწავლო კურსით პროგრამის გამდიდრება და ამ შედეგის უზრუნველყოფისთვის ხელის შეწყობა, რადგან არის სასწავლო კურსი „პროფესორის ასისტენტობა“, სადაც სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენება გათვალისწინებულია.
ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სალომე დუნდუა, დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას და განაცხადა, რომ უკვე მიმდინარეობს მუშაობა, უკვე გადაწყვეტილია აღნიშნული სასწავლო კურსის პროგრამაში დამატების საკითხი. რაც შეეხება, „პროფესორის ასისტენტობას“, აქაც არის საფაკულტეტო მიდგომა, ისევე, როგორც საგანი რომელზეც ცოტახნის წინ ისაუბრეს, საფაკულტეტო მიდგომაა ასეთი, ორი ასისტენტობა სწავლა-სწავლების მეთოდები უნდა იყოს ასისტენტობის წინაპირობა. ასისტენტობა, ერთხელ არის სავალდებულო და მეორე არის არჩევითი, დოქტორანტს შეუძლია გაიღრმავოს თავისი უნარ-ჩვევები და მასზეა დამოკიდებული გავლის თუ არა.
პროგრამის ხელმძღვანელის, მალხაზ მაცაბერიძის, თქმით განსახილველი პროგრამა ცენტრალიზებულია, და მიმართულებაზე ბევრი რამე არ არის დამოკიდებული, თუ მეტი რამე იქნებოდა დამოკიდებული მიმართულება სხვანაირად შეხედავდა აღნიშნულ საკითხებს, პროგრამას შეუძლია ფაკულტეტის წინაშე დასვას კონკრეტული საკითხები.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რევაზ ჯორბენაძემ, პროფესორის ასისტენტობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ერთხელ სავალდებულოა, ერთხელ არჩევითი, რაც არ გულისხმობს აუცილებლად არჩევას, მაგრამ თუ მაგალითად ერთ საგანში სემინარებს ატარებდა პროფესორთან, მეორედ შეიძლება სხვა საგანში აირჩიოს და ორ საგანში ექნება გამოცდილება, რასაც თავის პედაგოგიურ საქმიანობაში გამოიყენებს, სწორედ ამიტომ არის ეს დაშვება, გეოგრაფიის მიმართულების პროგრამებზეც ითქვა, რომ ძალიან იშვიათად ხდება, როდესაც ორივეს ირჩევს, ურჩევნიათ კვლევითი მიმართულების კრედიტები დააგროვოს, თუმცა არიან ისეთები, ვისაც ნამდვილად სურთ პედაგოგობა და ორჯერ გადიან აღნიშნულ სასწავლო კურსს. სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ მან განმარტა, რომ უნივერსიტეტში ეს არსებობდა, სამი წლის წინ შეიცვალა, როდესაც დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი შეიცვალა მაშინ მოხდა ამ საგნის ამოღება, სხვა შემთხვევაში არსებობდა უნივერსიტეტში, მისი ინფორმაციით ერთ პროგრამას აქვს არჩეულ საგნად დატოვებული.
განმახორციელებელი პერსონალმა, ზვიად აბაშიძემ, განაცხადა, რომ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გასათვალისწინებელი, სპეციალობები არ იყოფა დეპარტამენტებად, მიმართულება ეწოდება და უნდათ თუ არ უნდათ დამოკიდებულია ცენტრალურ ფაკულტეტზე, არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც მას შეიძლება ჰქონდეს ხედვა თუ როგორი უნდა იყოს პოლიტიკური მეცნიერების დოქტორანტურა, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება დათმონ ხედვა, რადგან ის მთელ ფაკულტეტთან უნდა მოვიდეს შესაბამისობაში, ამიტომ სავალდებულო იყოს თუ არა საგანი სავალდებულო ეს არ არის კონკრეტული მიმართულების გადაწყვეტილება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ როგორც აღინიშნა, დაწესებულება გეგმავს პირველი რეკომენდაციის გათვალისწინებას, რომელზეც უკვე მიმდინარეობს მუშაობა სწავლა-სწავლების სასწავლო კურსზე და დაამატებენ, დააზუსტა არჩევით კურსად აპირებდნენ დამატებას თუ სავალდებულოდ, მისი მოსაზრებით სავალდებულო კურსად აპირებდნენ დამატებას, რადგან ეს უნდა ყოფილიყო „პროფესორის ასისტენტობის“ წინაპირობა. ვინაიდან ორი „პროფესორის ასისტენტობის“ კურსია, ერთ სავალდებულო, მეორე არჩევითი, ასეთ შემთხვევაში სავალდებულო და არჩევითი კურსების, მიზანი, კრედიტები და შედეგები იდენტურია, თუ განსხვავებული?
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, „პროფესორის ასისტენტობის“ იდენტურ სახელებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აბსოლუტურად არანაირი პრობლემა არ არის თუ მეორედ მოინდომა სტუდენტმა გაღრმავება და საგნის არჩევა, უბრალოდ დამაბნეველია ორი ერთნაირ სახელიანი სასწავლო კურსი პროგრამაში, საუბარია მცირე ცვლილებაზე, „პროფესორის ასისტენტობა“ 1 და 2 ან რაიმე სხვა, ნებისმიერი სხვა საგანიც, იდენტური სახელით დამაბნეველია დიზაინის კუთხით, მითუმეტეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის ბრძანება №3-ის თანახმად, ერთი კურსი არის ერთ სემესტრიანი, სადაც იგულისხმება სათაური, კრედიტების მოცულობა, შინაარსი, კონტენტი და სწავლის შედეგების მიღწევა, ამიტომ აღნიშნულ ბრძანებასთან თანხმობაში რომ იყვნენ აუცილებელია მცირედი კორექტირება სათაურში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებსა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელმა, ნინო ქიმერიძემ, განაცხადა, რომ შესაძლებელია მცირე ცვლილება, თუმცა მთავარი იდეა არის ის, რომ ერთი სტუდენტის მიერ შესაძლოა იყოს რაღაც გაღრმავება, რადგან სასწავლო კურსებს შორის მიდგომებიც სხვა არის და უნარებსაც სხვადასხვას უმუშავებს გარკვეული საგნები, პრაქტიკული კურსები განსხვავდება თეორიული კურსებისგან და პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსებიც სხვა უნარებს მოითხოვს. გარდა ამისა, როდესაც სტუდენტი აკეთებს ინტერდიციპლინურია კვლევას შესაძლებელია დასჭირდეს, მიიღოს ახალი უნარები, სახელის კუთხით მარტივად კორექტირებადია, თუმცა ევროპული უნივერსიტეტების პრაქტიკის თანახმად, როგორც კი გაჩნდება 1 და 2 - საგანი მიდის ჩაღრმავებისკენ.
ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, სალომე დუნდუამ, სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნდა იყოს სავალდებულო სახით, შესაბამისად, როდესაც იქნება სავალდებულო, გახდება ასისტენტობის წინაპირობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო: 19:58

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი, 1 წელის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

2.2 რეკომენდებულია, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ გახდეს სავალდებულო, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადობა.

რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდეს წინაპირობები.

2.3 რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში გამდიდრდეს ქართულენოვანი ლიტერატურა, სწავლების ენიდან გამომდინარე და ასევე სამართლებრივი საკითხების მომცვლელ სასწავლო კურსებში მითითებული იყოს უახლესი იურიდიული ლიტერატურა და მოქმედი საკანონმდებლო აქტები.
2.6 რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში, გადაიხედოს დასწრების კომპონენტის შეფასების რელევანტურობა. ასევე დაზუსტდეს შეფასების მეთოდები კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

რჩევები:

3.1 უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაღრმავდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობები, რათა სტუდენტებს მიეცეთ საკუთრი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა.
4.3 სასურველია, უსდ-მ სტუდენტები უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო მასალით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

2.2 რეკომენდებულია, სამაგისტრო კვლევის წინაპირობებად განისაზღვროს პროგრამის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი;

რჩევები:

2.5 პროგრამის სასწავლო კურსების უმეტესობის შემთხვევაში სასურველია მეტი აქცენტი ანალიტიკური დავალებების გამოყენებაზე (პოლიტიკის დოკუმენტი, ანგარიშები, შედარებითი მიმოხილვები), დამსაქმებელთა მოთხოვნების მეტად ეფექტიანი გათვალისწინებისათვის პროგრამის განვითარების მიზნით.
4.1 სასურველია დაზუსტდეს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
2.3 რეკომენდებულია “კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები” სასწავლო კურსის ორ ნაწილად გაყოფა კურსებად თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, რათა დოქტორანტმა საფუძვლიანად აითვისოს შესაბამისი და

განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომები მისთვის საინტერესო საკითხების მეცნიერული გაანალიზებისთვის.

რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილს დაემატოს „თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების“ სასწავლო კურსი, რომელიც ასევე უნდა გახდეს დარგობრივი სემინარის წინაპირობა.

რეკომენდერებულია, გადაიხედოს ორი იდენტური დასახელების სასწავლო კურსის - „პროფესორის ასისტენტობა“ სახელწოდება, კრედიტების მოცულობა და სწავლის შედეგები.

რეკომენდებულია, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზნების და შედეგებიდან გამომდინარე,
შეივსოს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების ამსახველი საკითხებით.

რჩევები:
2.3 სასურველია, დაზუსტდეს „დარგობრივი სემინარის“ ფარგლებში ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით გადმოცემის შეფასების რუბრიკები;

სასურველია “კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები” სასწავლო კურსის სილაბუსიდან ჩანაწერის ამოღება პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის მაგისტრატურის საფეხურზე კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის გავლის აუცილებლობის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა მაგისტრატურის დამთავრების შემდგომ.
„თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების“ სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია მეტი ორიგინალური ნაშრომის სასწავლო პროცესში ინტეგრირება.

2.5 სასურველია, დაზუსტდეს სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება „დარგობრივი სემინარის“ სავალდებულო სასწავლო კომპონენტში, კერძოდ, ჯგუფური მუშაობის მეთოდის გამოყენება;

სასურველია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდის (PBL) პრაქტიკაში მეტად ინტეგრირება პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, Inquiry-based Learning (IBL) მეთოდის გამოყენება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის (PBL) მეთოდთან კომბინირებით ხელს შეუწყობს დოქტორანტის მიერ დამოუკიდებლად, ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი პროექტები;

3.1 სასურველია მეტი ხელშეწყობა პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის დოქტორანტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის.
4.1 სასურველია დაზუსტდეს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 პუნქტის, მე-3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

18:59 საათზე სხდომას შემოუერთდა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.

19:59 საათზე სხდომა დატოვა ანა ფირცხალაშვილმა.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გენდერის კვლევის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გენდერის კვლევა Gender Studies
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება №288
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	გენდერის კვლევის მაგისტრი Master of Gender Studies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სოციოლოგია და კულტურის კვლევები - 0314
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. №3, თსუ-ს კორპუსი II, თბილისი, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

√ არა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ანა კირვალიძე, განაცხადა, რომ მას სურდა აქცენტი გაეკეთებინა ორ მიმართულებაზე: 1. შინაარსის თვალსაზრისით, რაც ეხება კვლევის მოდულს, რამდენადაც დასახული მიზნებიდან, რომელიც ეხება გენდერის სამაგისტრო პროგრამებს, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში, მიზნებიდან გამომდინარე სათუო ხდება როგორ მიიღწევა მიზნები, შედეგები, რომლებიც ფორმულირებულია; 2. რამდენად თვითმყოფადია პროგრამა, იმ აკადემიური პერსონალით, რომელიც წარმოდგენილია. სოციალურ მეცნიერებებში სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურა არის წარმოდგენილი 2 მოდულით, სტანდარტიზებული ფორმა, თეორიული მოდული და კვლევითი მოდული, თუ გადახედავენ ევროპის/დასავლეთის სამაგისტრო პროგრამებს, ცოტა სხვაგვარად ხდება ხოლმე, რაც შეეხება თეორიულ მოდულს გარდა შესავალი კურსებისა, ძირითადად არის წარმოდგენილი სინთეზით, თეორიისა და კვლევის, გაცილებით დიდი ყურადღება კვლევით კომპონენტს ეხება, აღნიშნულმა ორმა მოდულმა სინთეზიდან გამომდინარე მიიღება სამაგისტრო თეზისი, შესაბამისად მიაჩნიათ, რომ როგორც არის კვლევის

მოდული. როდესაც ექსპერტთა ჯგუფს მიუვიდა არგუმენტირებული პოზიცია იქ იყო მითითებული, რომ თეორიის მოდულზე არაფერს ამბობდნენ, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ ამით არ უნდა დაემძიმებინათ რეკომენდაციები/პროგრამა, თუმცა თეორიაზეც შესაძლებელი იყო საუბარი, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გენდერის სამაგისტრო პროგრამებში, მინიმუმ 10 კრედიტი ეთმობა გენდერისა და ფემინისტურ თეორიებს, განსახილველი პროგრამის ფარგლებში კი მხოლოდ 5 კრედიტი ეთმობა. თუმცა არ ჩათვალეს, რომ ეს საკითხი არის პრობლემატური და არ დაამძიმეს რეკომენდაციები, რაც შეეხება კვლევის მოდულს, მასში არის სერიოზული პრობლემები, მონაცემთა ანალიზის თვალსაზრისით, რაოდენობრივი კვლევის გარდა, კვალიფიცირებულ მეთოდოლოგიას, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი არ სთავაზობს, სწავლის მეორე შედეგი თვითონ უთითებს, რომ „ეს არის კვლევის განხორციელება თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ანალიტიკური მიდგომების ინოვაციური სინთეზი“, სწორედ აქედან გამომდინარე, რომ ფორმულირებულია შედეგში ჩნდება კითხვა, მონაცემთა ანალიზის უნარები, მაგ., როგორ მიიღწევა სამი საათით რაოდენობრივ კურსში კვლევის მეთოდების და იგივე სამი საათი თვისებრივი მონაცემების კურსში, ეს არის სწორედ ის ფაქტი, როდესაც ექსპერტთა ჯგუფს ლეგიტიმურად შეუძლია გამოიყენოს სიტყვა არარეალისტური, ნამდვილად ამასთან აქვთ საქმე, როდესაც ნამდვილად არარეალისტურია. რაც შეეხება მეორე საკითხს, რომელიც ეხება პროგრამის მდგრადობას, აკადემიური რესურსი, რომელიც განაპირობებს პროგრამის თვითმყოფადობას, ამასთანავე ინტერდიციპლინურობა არ ნიშნავს ფრაგმენტულობას, თუ არის გენდერის პროგრამა და მასში მოიწვევენ სოციოლოგს, ფსიქოლოგს, ანთროპოლოგს და სოციალური მეცნიერებების სხვა წარმომადგენლებს, რა თქმა უნდა პროგრამა არ გახდება ინტერდისციპლინური, მოხდება გენდერის კვლევა სხვადასხვა დისციპლინიდან, ანუ ამ პროგრამაში ჩართულნი უნდა იყვნენ გენდერის მკვლევარები, არაჩვეულებრივი პროფესორები არიან ჩართულნი, ისინი ძალიან წარმატებულნი არიან, თუმცა მათ კვლევითი ინტერესი არ არის გენდერი, გამოქვეყნებულ სტატიებში ბოლო 5 წლის განმავლობაში საერთოდ ვერ ვხვდებით, რიგ შემთხვევაში კი ვხვდებით მხოლოდ ერთ სტატიას, მიუხედავად იმისა, რომ არიან მომიჯნავე მიმართულების წარმატებული წარმომადგენლები, თუმცა აღნიშნულ სხდომაზე აფასებდნენ გენდერის პროგრამას და საუბრობდნენ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ეს პროგრამა ყოფილიყო მდგრადი. ამასთანავე იყო ძალიან ბევრი საკითხი, რომელზეც ექსპერტს სურდა გამოხმაურებოდა, მაგ., პროგრამის მხრიდან იყო ხაზგასმული საკითხი, რომ სოციოლოგიის კურსებზე ხდებოდა აქცენტის გაკეთება, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ამ შეფასებამ დააფიქრა და მეტაც მძიმე პრობლემად მიიჩნია ვიდრე რომელიმე მეთოდოლოგიური კურსის ჩართვა პროგრამაში, ისწავლება სოციალური კვლევის მეთოდები, შესაბამისად თუ ეს საკითხია გასარკვევი გაცილებით მძიმე იქნება ამოცანა, ვიდრე რომელიმე მეთოდის ჩართვა კურიკულუმში. ვინაიდან, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თვითონ სოციოლოგია, განმარტა, რომ სოციალური კვლევის მეთოდები არის უნივერსალური მეთოდოლოგია, რომელიც შეიძლება მოერგოს სხვა ნებისმიერს, ელემენტარულად არ არსებობს სახელმძღვანელო, რომელსაც აწერია სოციალური კვლევის მეთოდები, მაგრამ მათ გარემოში, სტერეოტიპული ბარიერები აქვთ ჰუმანიტარებსა და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებს ემპირიასთან დაკავშირებით, როდესაც ემპირიაზე იწყება საუბარი, მაშინვე ფიქრობენ სოციოლოგიაზე, ამ დროს თეორიული მოდული დახუნძლულია თეორიისა და ემპირიის სინთეზით და ემპირიული მონაცემია, მაგ., შემთხვევების ანალიზი, რასაც ეფუძნება თეორიული მეთოდები. ამიტომ, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არანაირად ახვევდა სოციოლოგისთვის სპეციფიურ საგნობრივ მიმართულებებს ამ პროგრამას. მას ასევე შეეძლო წარმოედგინა „ბენჩმარკი“, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა პროგრამას, მან სპეციალურად ამოწერა 10 ძირითადი მეთოდოლოგიური კურსი, რომელსაც ეთმობა შესაბამისი კრედიტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი შარვაშიძემ, განაცხადა, რომ მას სურდა აღენიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო გენდერის პროგრამა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ორი მიზეზის გამო: 1. ისტორიული მიზეზი, ეს იყო ერთ-ერთი პირველი პროგრამა, რომელიც წარმოიშვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი წლის წინ და მაშინაც იყო ჩართული შემუშავების პროცესში, თუმცა მაშინ მეორე/დახმარების მხარეს წარმოადგენდა და არა დაწესებულებას, დაწყებული ამ პერიოდიდან ხშირად ადევნებს თვალს თუ რა ხდება გენდერის მიმართულებაში, ფაქტი, რომელიც არ აისახა დასკვნაში არის ის, რომ როდესაც დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია განსახილველი პროგრამა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამად დასახელდა, ძალიან სოლიდური შემადგენლობით იყვნენ წარმომადგენლები ექსპერტთა ჯგუფში, რომელთაც განიხილეს საკითხი და დატოვეს დასკვნა. ის პროგრამა, რომელიც განიხილება დიდი/რევოლუციური ცვლილებები არ განუცდია, თუმცა ჩართული იყო თავდაპირველად ძალიან კვალიფიციური შემადგენლობა, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი იყო ქალბატონი ივანა, რომელიც იყო გენდერის სპეციალისტი, ყოფილი ფსიქოლოგი, რომელიც შემდეგ გახდა გენდერის სპეციალისტი, ამჟამად არის იუსიდევიჩი, დაწესებულებას დღემდე აქვს კონტაქტი, ძალიან საქმიანი. ბევრი რამ რაზეც მიდის კამათი/მსჯელობა შეჯერებული მათ პარტნიორებთან, ამდენად არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ სხვაგან სხვანაირად ხდება, რადგან კარგად არის შეწონილი ეს რეკომენდაციები, გათვალისწინებულია, რომლებიც გაცემულია პარტნიორების მიერ. მას არ მოეწონა გამეორებები დასკვნაში, რადგან მისი ხედვით დამძიმების მცდელობაა, აღნიშნული პროგრამა ძალიან საჭირო/ფასეულია დაწესებულებისთვის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს გენდერის მიმართულებას, ამასთანავე ისინი იყვნენ პირველები და გააგრძელებენ პირველობას რეგიონში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ, განაცხადა, რომ საბჭო ნახავდა დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, რომელშიც ძირითადად უკმაყოფილება უკავშირდებოდა ფაქტობრივ უზუსტობებს, კომპონენტის აღწერილობითი ნაწილის, კომპონენტის შეფასებასა და გამოთქმულ რეკომენდაციას შორის შეუსაბამობას, ასევე ნაწილობრივი შეფასების არამართებულად განსაზღვრას, მათ ზუსტად იციან როდის იწერება რომელიმე კომპონენტში ნაწილობრივი შეფასება, რაც აუცილებლად უნდა იყოს არგუმენტირებული შესაბამისი ნარატიული ნაწილით და რეკომენდაციებით, რომელიც გაცემა, როგორც რექტორმა აღნიშნა, რამდენიმე კომპონენტში მეორდება დაახლოებით ერთიდაიგივე რეკომენდაცია კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით და დიდი პატივისცემით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან, სავარაუდოდ დარგის სპეციალისტები ამ საკითხზეც იმსჯელებენ, მაგრამ, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლები ხედავენ ერთიდაიგივე რეკომენდაციას რამდენიმე სტანდარტში, ეს ყოველთვის იწვევს განცდას, რომ კომპონენტი არ არის სწორად/სრულად ასახული, ასევე კომპონენტებისა და სტანდარტების ლოგიკის დარღვევა, განსაკუთრებით ხშირად აღმოჩნდება ხოლმე დასკვნის ნაწილში, რომ კომპონენტი 5.1, 5.2 შესაბამისობაშია და 5.3 ნაწილობრივ შესაბამისობაშია, მაშინ, როდესაც აღწერილობით ნაწილში რეალურად ეს სიმწვავე არ დგება. პროგრამა აღმოჩნდა სან-დეგოს უნივერსიტეტის ფოკუს ქვეშ და სწორედ მათ პროფესორებთან ერთად აგრძელებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები მუშაობას, გარკვეულწილად ინტერნაციონალიზაციის ეს ელემენტი საკმაოდ მძლავრად შემოდის ამ პროცესში, ცალსახა/მნიშვნელოვანია და ყველას კარგად ესმის, რომ რიგ შემთხვევებში განსხვავდება დამოკიდებულება ფილოსოფიასთან დაკავშირებით, მაგრამ სწორედ იმიტომ წარმოადგენენ უნივერსიტეტები აკადემიურ სივრცეს, რომ ეს ფილოსოფია მეტ-ნაკლებად შეიძლება იყოს განსხვავებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მედეა ბადაშვილმა, განაცხადა, რომ ძალიან ხშირად მეორდებოდა რეკომენდაციები, მართალია დაწესებულება ნაწილს არ იზიარებს, ნაწილს ნაწილობრივ იზიარებს და ნაწილს დაეთანხმა, რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნას კვლევასთან დაკავშირებით, პროგრამას აქვს 3 სავალდებულო კურსი კვლევის მეთოდებში, რაც მოიყვანეს

მაგალითად 10 კურსი, სხდომას ესწრებიან კოლეგები, რომლებიც არიან ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და მათ შეუძლიათ დააზუსტონ „ბენჩმარკინგი“ სადაც გაკეთდა, მან უშუალოდ გაიარა სტაჟირება, ესწრებოდა ლექციებს და კარგად იცის არსებული მდგომარეობა. ძალიან ხშირად უწევდა თანამშრომლობა ერთ-ერთ პარტნიორთან, ასევე თვითონ იყო ჩართული პროგრამაში დაარსების დღიდან, თავიდან, როგროც მოწვეული ლექტორი კითხულობდა ლექციებს, შემდეგ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში არის აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელი. იგი არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ 10 კურსი არის, არჩევით საგნებად არის, მაგრამ სავალდებულო არის მხოლოდ 2. ინტერვიუების დროს ძირითადი რეკომენდაციები ეხებოდა კვლევის მეთოდებს და მხოლოდ ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მასკულინობის კურსისა და „ქვიარ თეორიების“ სავალდებულოში გადმოტანას, რომელი რეკომენდაციაც ძალიან გაუხარდათ. მასკულინობის კურსი ცალკე აქ აქვთ, მაგრამ ჩადებულია სხვადასხვა სავალდებულო კურსებში, 2 კვირა ეთმობა ამ თემას. რაც შეეხება „ქვიარ თეორიების“ კურსს, არსებობს არჩევით კურსებში, თუმცა შესაძლებელი იქნება სავალდებულო კურსებში გადატანა, მას სურდა აღენიშნა, რომ მაშინ დაირღვეოდა ის 10 კურსი, რომელსაც სთავაზობდნენ სტუდენტებს სავალდებულო კურსებად, აქედან 3 კურსი ეთმობა რაოდენობრივ/თვისებრივ მეთოდებსა და კვლევის დიზაინს. რეკომენდაციები ძალიან ხშირად მეორდება სხვადასხვა სტანდარტში, რაც დაწესებულებას აძლევს იმის საშუალებას იფიქროს, რომ საერთო სურათის დამძიმებას ემსახურებოდა, რაც იყო ძირითადი რეკომენდაცია, რომ დამატებოდა 7 სავალდებულო კურსი კვლევის მეთოდებში, სრული აბსურდია, რადგან გენდერის კვლევა ეს არ არის მხოლოდ ემპირიული კვლევა, ეს არის ინტერდისციპლინური და ამიტომ სურთ დარჩნენ ამ კუთხით, ასევე ითვალისწინებენ უცხოელი კოლეგების რეკომენდაციებს, რომლებიც ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავებაში და მუდმივად არის დაწესებულებასთან კონტაქტში და აინტერესებს პროგრამის ბედი. ინტერნაციონალიზაციისა და მდგრადობის შესახებ მან განმარტა, რომ აქტიურად მუშაობენ ინტერნაციონალიზაციის საკითხზე, მუდმივად აქვთ შეხვედრები/მოლაპარაკებები უცხოელ კოლეგებთან, რომლებსაც თანამშრომლობის დიდი სურვილი აქვთ. უზუსტობას ჰქონდა ადგილი, მაგისტრანტთა ხელმძღვანელებთან დაკავშირებით და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის შესახებ. პროგრამას ყავს 8 აკადემიური და 10 მოწვეული პერსონალი, როდესაც თვითშეფასების დოკუმენტი დაიწერა მაშინ 7 ყავდათ, მაგრამ სექტემბერში შეუერთდა კიდევ ერთი, რაც შეეხება მოსაზრებას, რომ არ შეუძლია მოწვეულ ლექტორს ხელმძღვანელობა გაუწიოს სტუდენტებს, არ შეესაბამება სიმართლეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამა არის აქტუალური და მნიშვნელოვანი. მისი მოსაზრებით, პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები და ნაშრომები არის ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული. პროგრამა ხორციელდება, ჰყავს კურსდამთავრებულები, რომელთა უმეტესობა კვალიფიკაციით არის დასაქმებული, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაფასებლად, ეს არის ხარისხიანი სამაგისტრო ნაშრომები, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმება. მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, სთხოვა ესაუბრათ პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, სადაც გაწერილია ორი რეკომენდაცია - „რეკომენდებულია განისაზღვროს რეალისტური და მიღწევადი მიზნები“; „რეკომენდებულია მიღწევადი და რეალისტური შედეგების განსაზღვრა, რომელიც აღწერს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და უნარებს“; საბჭოს წევრი გაეცნო პროგრამის მიზნებს/შედეგებს და როდესაც, საუბარია პროგრამის სწავლის შედეგებზე თავის მხრივ ის ერთი-ერთში ვერ იქნება დაკავშირებული ამათუიმ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან, რადგან სასაწავლო კურსების სწავლის შედეგები არის ვიწრო მიმართულებით, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს პროგრამის მიზანს, თუ პროგრამას აქვს ხელშესახები შედეგები და პროგრამა არის

მოქმედი, ამ შემთხვევაში შესაძლებელია იმსჯელონ ჩანაწერებზე, მაგრამ როდესაც ფაქტობრივი გარემოებები აქვთ, დაინტერესდა თუ რა არის ძირითადი არგუმენტი, გარდა მაგალითად მოყვანილი კვლევის მეთოდებისა, რომ ემსჯელათ სწავლის შედეგების რეალისტურობასა და მიღწევადობაზე, რადგან მსგავსი ჩანაწერები თითო რეკომენდაციის სახით აისახება ხოლმე დასკვნაში. მეორე სტანდარტში გაცემულია რეკომენდაცია - „მიზანშეწონილია, კურსების წინაპირობები განისაზღვროს და ყველა სილაბუსში აისახოს კურსის შინაარსის შესაბამისად“, მან განმარტა, რომ მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამა სადაც მოცემულია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობა, რაც კურსის შინაარსიდან გამომდინარე უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს რომ სხვა სასწავლო კურსით უნდა ხდებოდეს სტუდენტის დაშვება, სთხოვა განემარტათ თუ რომელი სასაწავლო კურსი რომლის წინაპირობა უნდა ყოფილიყო. მან პროგრამის წინაპირობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ძალიან დეტალურად არის ჩანაწერი ვინ შეიძლება დაიშვას პროგრამაზე, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს სთხოვა განემარტათ თუ რა სახის წინაპირობა იგულისხმეს. მისი თქმით, საუბარია ასევე სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით, დაინტერესდა თუ გადაჭრიდა კომისიის შემადგენლობაში ხელმძღვანელის შესვლა მათ მიერ დასმულ პრობლემას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ პროგრამას აქვს ძალიან დეტალური მიღების წინაპირობა, ინგლისურიდან დაწყებული, სპეციალობის გამოცდითა და გასაუბრებით დამთავრებული, ძალიან იშვიათია, როდესაც მინიმალური ბარიერები/ზღვრებიც კი წერია საერთო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის, ამიტომ დაინტერესდა აღნიშნული რეკომენდაციის საფუძვლით. მისი თქმით, 4.1 კომპონენტში გაცემულია რეკომენდაცია - „პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია პროგრამაში გაიზარდოს გენდერის კვლევის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა“ - ვინაიდან მიმდინარე სხდომაზე გაირკვა, რომ პროგრამას 8 პერსონალი ჰყავს, რეკომენდაცია ისეა ფორმულირებული, რომ გენდერის კვლევის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით გამდიდრდეს პროგრამა, როგორც მისთვის ცნობილია საკმაოდ იშვიათი პროგრამაა და უნივერისტეტები არ არიან განებივრებულნი ასეთი პროგრამებით, შესაბამისად გენდერის კვლევის კვალიფიკაციის მქონე პერსონალი რთულად მოიძებნება შრომით ბაზარზე, ალბათ ეს იქნებიან სოციოლოგები, რომელთაც ექნებათ გენდერის კვლევის გამოცდილება და მათი კვალიფიკაცია დასტურდება ერთი კრიტერიუმით, ეს იქნება სტატიები, გრანტებში მონაწილეობა, წაკითხული ლექციები და ა.შ., მითუმეტეს თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ სულ არის 8-9 სტუდენტი, 2019 წელს, მისთვის უცნობია 2020-2021 წლების მდგომარეობა, რადგან 7 სტუდენტია სულ, ასეთი მცირე რაოდენობის სტუდენტების უზრუნველყოფას სავარაუდოდ შეძლებს პროგრამა, ასევე დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით ხომ არ გეგმავდნენ რაიმე სახის ცვლილებას. 5.3 კომპონენტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს შეფასების მექანიზმები, და დაინტერესდა თუ რატომ გაჩნდა აღნიშნული რეკომენდაცია განსახილველ პროგრამასთან მიმართებით, რადგან სწავლის შედეგების გეგმა პრაქტიკულად მოიცავს ყველა იმ ელემენტს, რაც უნდა ჰქონდეს შედეგების გეგმას, ამ ეტაპზე ყველაფერი მოცემულია ახალი სტანდარტებით და აკმაყოფილებს, მისთვის გაუგებარია, თუ რატომ ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა ასე და რატომ შეაფასა ნაწილობრივ შესაბამისობად.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა დამატებითი არგუმენტაციით, რადგან ვიზუალურად პროგრამაში გაწერილ მიზნებსა და სწავლის შედეგებს პრობლემა არ აქვს, არადა მიღწევადობის ჭრილშია კითხვა დასმული, თუმცა მისთვის უფრო გასაგები იქნებოდა ექსპერტებს ყურადღება რომ გაემახვილებინათ სწავლის შედეგების ტექნიკურ მხარეზე, რადგან არეულია ცოდნა-უნარები და ცოდნა-გაცნობიერებაში ხშირად უნარები წერია, თუმცა ამის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი, მიღწევადობის ჭრილში კი პრობლემაა, ასევე, გაცემულია რეკომენდაცია - „მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისთვის რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში აისახოს კვლევის მიმართულებით კომპონენტები: თვისებრივი მონაცემების ანალიზის და ინტერპრეტაციის მეთოდები, მონაცემთა (თვისებრივი

და რაოდენობრივი) დამუშავება და ანალიზი შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით“ - დაინტერესდა თუ რატომ უშლიდა ეს კვალიფიკაციის მინიჭებას ხელს, რადგან თითქოს პროგრამაში კომპონენტები: თვისებრივი მონაცემების ანალიზის და ინტერპრეტაციის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით ცალკეულ კურსებშიც არის და დავალებებშიც არის ინტეგრირებული, მისთვის გაუგებარია რატომ დაინახეს კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციის განვითარების რისკი. ასევე დაინტერესდა თუ რატომ ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა პრობლემურად ძირითად სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების პროგრამის შედეგებთან შესაბამისობა, პრინციპული აცდენა დაინახეს თუ თვლიან, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ერთი ერთში უნდა ასახავდე პროგრამის სწავლის შედეგებს, თუ შესაძლებელია აკუმულირებულად იყოს თითოეული სასწავლო კურსის შედეგები ასახული პროგრამის სწავლის შედეგში და ამ შემთხვევაში შესაძლებელია ცალკეული სასწავლო კურსი ვერც კი ფარავდეს პროგრამის სწავლის შედეგებს.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 4.4 კომპონენტში გაცემულია რეკომენდაცია - „პროგრამის მიზნების ეფექტიანად უზრუნველყოფისთვის უნდა მოხდეს პროგრამის ფინანსური მდგრადობის ზრდა. მნიშვნელოვანია გაიზარდოს პროგრამისთვის განკუთვნილ ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა, განსაკუთრებით სამეცნიერო/კვლევის ხარჯის და წარმომადგენლობითი ხარჯის მიმართულებით“ - ვინაიდან რეკომენდაცია არის ხარვეზი, არ არის შესაბამისობაში რაღაც სტანდარტთან, მაგრამ თუ არსებობს პროგრამის ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია სამეცნიერო ხარჯები, რატომ გადაწყდა რომ უნდა გაეწერათ რეკომენდაციად და არა რჩევად. მან განაცხადა, რომ დასკვნის დოკუმენტის ნარატიულ ნაწილში არის ჩანაწერი - „პროგრამის წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის ასახული ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განვითარებული სტრატეგია“ - თუმცა საბჭოს თავმჯდომარე გაეცნო 2018-2024 წლების სტრატეგიულ დოკუმენტს იქ ცალსახად იყო გაწერილი სტრატეგიული მიზანი 6, რომელიც ცალსახად აღწერს ინტერნაციონალიზაციას და მოცემულია ცალკეული მიზნის ქვეშ ამოცანების სახით, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა მზაობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული საკითხის განმარტების მოსმენისთვის, მათი სურვილის შემთხვევაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ანა კირვალიძემ, განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი/საინტერესო კითხვები დაისვა, შესაბამისად საინტერესო იქნება თითოეულ კითხვაზე პასუხის განმარტება. მან აღნიშნა, რომ არ დაობდნენ, არამედ მიესალმებოდნენ იმ ფაქტს, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნული პროგრამა შედგა, თვითონ კი აღნიშული პროგრამის აკრედიტაციის ჯგუფში ჩაერთო რათა წვლილი შეეტანა მის განვითარებაში, რა მიზანსაც ემსახურება სხდომაზე დამსწრე საზოგადოება. მისი მოსაზრებით, პროგრამა უნდა არსებობდეს, რომელიც მე-16 წელს ითვლის არსებობიდან და შესაბამისად მის მიმართ უფრო მეტი მოლოდინია, ვიდრე რომელიმე ახალი პროგრამის მიმართ, ყველა რეკომენდაცია ემსახურებოდა იმას, რომ მომავალში ეხილათ უფრო დამაჯერებელი და განვითარებული პროგრამა. მან მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, რადგან ექსკლუზიური მიღება იყო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან რეკომენდაციების მიმართ. რეალისტურობისა და მიღწევადობის შესახებ მან განმარტა, რომ როდესაც საუბარი დაიწყო მან დეტალურად განმარტა, თუ რატომ არის რელევანტური სამაგისტრო საფეხური, რომელის ძირითადი მიზანი არის თეზისის შემუშავება, რადგან ორი მოდული ერთიანდება (თეორია და კვლევა), ამ შემთხვევაში, კი კვლევის მოდული არ არის საკმარისად წარმოდგენილი, 3 ლექცია ეთმობა მონაცემთა ანალიზს. მან საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვა ეკრანის გაზიარების უფლება.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მისთვის გასაგები იყო „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტაცია, მაგრამ ამასთანავე იყო უამრავი დასმული კითხვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ანა კირვალიძემ, გააზიარა ცენტრალური უნივერისტეტის სასწავლო პროგრამა, სადაც ჩანდა სასწავლო კურსები: „Qualitative Research Methods“, “Data Analysis Tool For Qualitative Research in Social Sciences”, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, უფრო

მეტად ორიენტირებულია რბილ მეთოდოლოგიაზე, „Discourse Analysis“, „Oral History“, „Narrating Worlds“, „Strategies of Reading“, “Gender Studies Research”, „Methodology and Archives“, „Internship Analysis Workshop“, „Audio Production“, ასევე აჩვენა თუ როგორ არის გადანაწილებული და დასძინა, რომ ბუდაპეშტში დაიხურა აღნიშნული პროგრამა და ავსტრიაში მიდის.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, მისთვის გასაგებია სხვა პროგრამაში ნანახი კვლევითი კომპონენტი მოისაკლისეს განსახილველ პროგრამაში, მაგრამ სთხოვა ესაუბრა უზუსტობებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საუბარია საკითხზე, რომ თუ ეს რეალისტური და განხორციელებადია, მაგრამ რა ინდიკატორებით ზომავენ, პირველი ინდიკატორი არის კურიკულუმი, სადაც ცალკე კურსად არ არის გენდერის თეორიები, და არ კეთება აქცენტი დისკუსის ანალიზზე, არქივის კვლევაზე და ა.შ. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია იმისა, რომ დაისვას კითხვა რეალისტურობასთან დაკავშირებით. საუბარი იყო თუ კიდევ რა ინდიკატორი შეიძლება ყოფილიყო, კურსდამთავრებულთა დასაქმება აღნიშნულ სფეროში, ასევე შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას სამაგისტრო ნაშრომები, რომელიც დაადასტურებს, რომ ხორციელდება კვლევები. მან განზრახ არ ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომებზე, რადგან ეს არის ყველაზე კარგი ინდიკატორი იმისა რომ მონაცემთა ანალიზის მეთოდების კუთხით სერიოზული დარღვევებია ნაშრომებში, ექსპერტთა ჯგუფმა სპეციალურად არ გააკეთა ამაზე აქცენტირება, რადგან მიიჩნიეს, რომ განვითარებადი მიმართულებით კურიკულუმთან იყო მნიშვნელოვანი, რაც შემდეგ აისახებოდა ნაშრომებშიც, სადაც არის სერიოზული მეთოდოლოგიური პრობლემები, ზოგიერთი ნაშრომი არ ითვალისწინებს ამ ორი პარადიგმის სინთეზს, უფრო მეტიც, შერჩევის დონეზეც კი არის გარკვეული სოციალური მეცნიერებების პრინციპები, ანალიზის თვალსაზრისით არის ინტერპრეტაცია დარღვეული. გამოთქმული იყო ბრალდება სპეციალურად დამძიმების შესახებ, თუმცა პირიქით, სადაც შეიძლებოდა ესაუბრათ კურიკულუმზე, არ ისაუბრეს რა ხდება ნაშრომებში, სპეციალისტმა რომ გადახედოს ნაშრომებს მიხვდება რამხელა დარღვევაა კვლევის მეთოდების გამოყენების, იწყება მეთოდოლოგიის დეფინიცია/განსაზღვრა და შემდეგ მოსდევს თეორიული ჩარჩო და ლიტერატურული მიმოხილვა, ამაზე მეტი დარღვევა არ არსებობს სამაგისტრო ნაშრომებში, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმა არ ისაუბრა. კურსდამთავრებულები მნიშვნელოვანია, მაგრამ საუბარი არ არის იმაზე, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ ყველა მოხვდა კარგ სამსახურში, სადაც განავითარა თავისი კომპეტენციები, ბევრი ისეთი სტუდენტი სწავლობს, რომელშიც ამ რესურსს იმიტომ დებს უნივერსიტეტში, რომ უნდა წაიღოს კომპეტენცია.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა ესაუბრა კითხვებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა, რადგან პროგრამა გახსნილია ყველა მიმართულების კურსდამთავრებულისათვის, თუ ჩააბარებს გამოცდას, მაგრამ თუ გადახედავენ კურიკულუმს, იმდენად რთული თეორიული მასალაა გადასამუშავებელი არა ქართულ, არამედ ინგლისურ ენაზე, რომ ექსპერტთა ჯგუფს უჩნდება კითხვა, რამდენად შესაძლებელია არა სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელი შეძლებს თუ არა დაძლევას, რა არის ფილტრი, მაგ., ოქსფორდის უნივერსიტეტში, შეიძლება გახსნილი იყოს, მაგრამ რელევანტური დისციპლინებისთვის და არა ყველა მიმართულებისთვის, ანუ ის კომპეტენცია, რომელიც სჭირდება სტუდენტს კომპეტენციის დასაძლევად. საგამოცდო საკითხების შესწავლა არ აძლევს სტუდენტს იმ Background-ს, რომ დაძლიოს პროგრამა, ამიტომ გაუჩნდა ექსპერტთა ჯგუფს კითხვა ფილტრების ვალიდურობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ახსენა „ბენჩმარკი“ და მოიყვანა უნივერსიტეტის დოკუმენტიც, დაინტერესდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და დარგობრივ საბჭოს თუ აქვს შემუშავებული რაიმე „ბენჩმარკი“ ამ მიმართულებით, ანუ თუ არსებობს დარგობრივი მახასიათებელი.

კვლევასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები თითქოს ჩადებულია პროგრამაში და ცალკეულ სილაბუსებში კვლევითი აქტივობების განვითარების მიმართულებით შემოტანილია სხვადასხვა დავალებები, დაინტერესდა ეროვნულ დონეზე თუ არის სადმე გაწერილი ის მეთოდები, რომლებიც სავალდებულოა პროგრამაში გარკვეული კომპეტენციების მისაღწევად და რომელთა გარეშეც პროგრამა ვერ განხორციელდება, რატომ უნდა შემოიტანოს დაწესებულებამ ის მეთოდები, რომლებზეც ექსპერტთა ჯგუფი საუბრობს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განიხილავდნენ გენდერის კვლევების სამაგისტრო პროგრამას, რაც არის სოციალური მეცნიერებების ერთ-ერთი მიმართულება, შესაბამისად არ არსებობს არცერთი საფეხურის პროგრამა, რომელიც სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგიას სელექციურად შეასწავლის, სრულად ან ლიმიტირებულად რომელიმე საფეხურზე, არის სტანდარტი/მეთოდები, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ განსახილველი პროგრამის ფარგლებში გამომდინარე იმ სამაგისტრო თემებიდან, საიდანაც კვლევები წარმოებს ასევე, იმ კურსდამთავრებულთა პროექტებიდან, ქალთა ისტორიების მიმართულებით აქვთ ძალიან საინტერესო პროგრამა განხორციელებული და ა.შ., ყველა პროექტი ორიენტირებულია მეთოდოლოგიის გამომუშავებაზე, საუბარია მონაცემთა მოპოვების მეთოდოლოგიაზე, რაც საბაკალავრო კომპეტენციაა, ახლა კი განიხილავენ სამაგისტრო დონეს, სადაც საუბარია არა დესკრიპტულ არამედ ანალიტიკურ დონეზე. მაგ., სტუდენტს სამაგისტრო დონეზე აინტერესებს გაიგოს გენდერული, ასიმეტრული, პატიარქატული განწყობილებების ბუნება, ამაში კარგად დაეხმარება თვისობრივი მეთოდოლოგია, მაგრამ ამავე დროს სხვა სტუდენტს აინტერესებს გაიგოს ქართულ სივრცეში გენდერული განწყობების სოციო-ეკონომიკური/დემოგრაფიული განმსაზღვრელი მექანიზმები და ფაქტორები, ამისთვის მას სჭირდება გენერალიზებული კვლევა, შესაბამისად საუბარია იმაზე, რომ როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში, საბაკალავრო დონის ცოდნას აძლევენ ველზე მუშაობაში ახელოვნებენ თუ დესკრიპტულ დონეს ცილდებიან და ადიან ანალიტიკურ დონეზე, სადაც მას შეუძლია ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება, რასაც ექსპერტთა ჯგუფი არ ითხოვს, პროგრამა თვითონ საუბრობს ამ მიზნებზე/შედეგებზე.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა, განაცხადა, რომ საბჭოს წევრები სვამენ სრულიად ლოგიკურ კითხვებს, როდესაც საუბრობენ ამათუიმ კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაზე, როგორც მინიმუმ 2.4 კომპონენტში უნდა იყოს გაცემული რეკომენდაცია, როდესაც საუბრობენ ამათუიმ სასწავლო კურსებზე უნდა ხედავდნენ მათ დასახელებებს, რომელი სასწავლო კურსები უნდა გაძლიერდეს, აქედან გამომდინარე შეიძლება შემდეგ დაისვას საკითხი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობასა და მიზნებზე გასვლაზე. როდესაც მან ახსენა მძლავრი ინდიკატორები, იგულისხმა სწორედ მაგისტრანტები, რომელებთანაც ექნებოდათ შეხვედრა, ასევე ჰქონდათ საშუალება სამაგისტრო ნაშრომები შეესწავლათ და თუ მსგავსი საკითხები იყო და დასკვნაში აისახებოდა, კითხვები სხვანაირად დაისმებოდა. მიმდინარე განხილვაზე კი ფაქტობრივი გარემოება არის გადაგზავნილი დასკვნა, ზეპირ მოსმენაზე გამოხატულ სხვა არგუმენტებს საბჭო მხედველობაში ვერ მიიღებს, ასეთია საბჭოს რეგლამენტი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ წაიკითხა საბჭოს წევრმა რეკომენდაცია, რომელშიც ახსენებენ კომპეტენციების განვითარებას კონკრეტული კურსების მიმართულებით: თვისებრივი მონაცემების ანალიზის და ინტერპრეტაციის მეთოდები, მონაცემთა (თვისებრივი და რაოდენობრივი) დამუშავება და ანალიზი შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით, შესაბამისად საუბარია კონკრეტულ კურსებზე, კომპეტენციების მიმართულებით კურსების დამატებაზე. მისი თქმით, მათთვის ცნობილია, რომ ასე უხეშად ჩარევა, რომ არ იყოს კურსების დამატების შესახებ ამიტომ ჩამოწერეს მიმართულებები. მისთვის გასაგები იყო საბჭოს წევრის პოზიცია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ძალიან მყარი არგუმენტები ჰქონდა დასკვნაში, ძალიან ბევრი იშრომეს, დაწვრილებით შეისწავლეს პროგრამა. მან განაცხადა, რომ მისი ფუნქცია აქ წყდება, მან დაწერა ის, რაც უნდა ყოფილიყო დაწერილი, არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ დასკვნა დამძიმებულია, ექსპერტთა ჯგუფმა არ გააკეთა აქცენტი თეორიულ მოდულზე, სამაგისტრო ნაშრომებზე, რადგან ისაუბრეს კურიკულუმზე, რომლის გამოსწორებაც შემდეგ

გამოიწვევდა ნაშრომის გაუმჯობესებასაც. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, ყველაფერი არგუმენტირებულად და პროფესიონალურად წარმოადგინა, ახლა კი ჯერი საბჭოზეა.
უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი შარვაშიძემ, სტუდენტების რაოდენობასა და კვლევით ხარჯებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ძალიან რთულია პროგრამის დაწყებისას, მიუხედავად მისი გამოცდილებისა, ცნობილია, რომ გენდერი არ არის პოპულარული მიმართულება და მისი განხილვა ისე, როგორც განიხილავენ ალგებრაისტიკას ან ნებისმიერ სხვა მიმართულებას, სხვანაირი მიდგომა სჭირდება, ამიტომ უნივერსიტეტმა ჩათვალა, რომ რადგან ეს არის ახალი/მნიშვნელოვანი მიმართულება, ამისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს, სტუდენტების მცირე რაოდენობის მიუხედავად, რათა არ დაჩაგროს/დაიჩრდილოს, ასეთი პროგრამები ე.წ. ორქიდეა მიმართულებებია, რომელსაც განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი უნივერსიტეტია და ამიტომ ბევრი ასეთი პროგრამა აქვს, ამდენად ყველა ის მიმართულება, რომელიც სარგებლობს დასაქმების ბაზრის პოპულარობით უნივერსიტეტში მაინც არის წარმოდგენილი, ამდენად შიდა რესურსების ხარჯზე ხდება გადანაწილება და დაწესებულება ეხმარება გენდერს რომ არ დაიჩაგროს. ბიუჯეტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ერთადერთი უნივერისტეტი, რომელიც ამ რაოდენობით გამოყოფს სტუდენტურ/კვლევით გრანტებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის. საუბარი იყო სამაგისტრო ნაშრომებში აღმოჩენილ დარღვევებზე, მისი მოსაზრებით, თუ ხდება ასეთი დარღვევები, აუცილებლად უნდა იყოს ასახული დასკვნაში, როგორც საბჭოს წევრმა განმარტა, თუ არ იქნება ასახული დასკვნაში ვერ გახდება ცნობილი. მან განაცხადა, რომ დიდიხანია უყურებს ჯგუფებს, რომლებიც მუშაობს რეალურ სივრცეში, სადაც არიან დასაქმებულნი, მათი ძალიან ბევრი კურსდამთავრებული სხვადასხვა ქვეყანაში არის, მათ ასევე ყავდათ ბიჭები პროგრამაზე, რითიც ამაყობდნენ, არაჩვეულებრივი კვლევები იყო გამოქვეყნებული ლტოლვილებთან დაკავშირებით, რაც მისთვის ძალიან საინტერესო იყო, ეს არის ის სიმდიდრე, რაც ძალიან დიდიხნის განმავლობაში დაგროვდა. დაწესებულება ვერ მიიღებს შენიშვნას კვლევასთან დაკავშირებით, თითქოს რაღაც მოაკლეს ან ვინმესთვის არ არის ხელმისაწვდომი, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს უპრეცედენტოდ დიდი ბიუჯეტი, რომლიდანაც ძალიან დიდი თანხა ხმარდება კვლევების წახალისებას, მათ შორის პუბლიკაციების წახალისებას და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვისაც.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ, დარგობრივ მახასიათებელთან და „მენჩმარკინგთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ ხშირ შემთხვევაში კვლევის რა კომპონენტი, ანუ კურიკულუმი როგორ იქნება აგებული აკადემიური თავისუფლების ნაწილია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც შედარებისთვის მოყვანილ საგანმანათლებლო პროგრამაში ძალიან ბევრი კურსი იყო არჩევითი სახის, მაშინ, როდესაც კურსებში, რომლებსაც დაწესებულება სთავაზობს სწორედ კომპონენტის სახით არის ის ნაწილი მოცემული, რომელიც შესაძლებელია არჩევითი კურსის სახით იყოს მოცემული სხვდასხვა პროგრამაში, როგორც უკვე ითქვა ეს პროგრამები არ განხორციელდა და არ დაიწყო ქართულ რეალობაში, მას ჰქონდა ძალიან ძლიერი, საერთაშორისო მხარდაჭერა, შესაბამისად აგებული კურიკულუმი სწორედ ამაზე იყო დაფუძნებული. 5.3 კომპონენტთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ აღნიშნული კომპონენტი შეფასებულია ნაწილობრივად, რაც ძალიან საინტერესოა, რადგან 5.1, 5.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია, 5.3 კი ნაწილობრივში, როცა ხედავენ, რომ ძირითადი ნაწილი რეკომენდაციის გაცემის შესაძლებლობას არ იძლევა. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და სწავლის შედეგებზე გასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის არა მხოლოდ დასაქმება, არამედ ის პირდაპირი/არა პირდაპირი ინდიკატორები, რომლებიც დასაქმების შემდგომ რეალურ კვლევებს უწყობს ხელს, დაწესებულება ხედავს, რომ ეს კურსდამთავრებულები იღებენ ცოდნას/იმ შედეგებს, რაც გაწერილია, არა იმიტომ რომ იმ გარემოში აღმოჩნდნენ, არამედ იმიტომ, რომ საგანმანათლებლო

პროგრამის წარმატებული კურსდამთავრებულები არიან და ამგვარი პროგრამის გავლის შემდეგ მიიღეს ის კომპეტენციები რომლებიც შემდგომ სამუშაო გარემოში დაეხმარება. აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პრაქტიკოსების ჩართულობა, მთელი თავისი ბაზებით არის აღნიშნული პროგრამის ძლიერი მხარე, რაც საბოლოო ჯამში იძლევა შესაძლებლობას, რომ მისი კურსდამთავრებულები იყვნენ დასაქმებულები პროფილით და გააგრძელონ კვლევა იმგვარად, რომ არა მხოლოდ პროგრამის დასრულების მაჩვნებელი იყოს, არამედ საზოგადოებისთვის გაწეული გარკვეული კონტირბუცია, რომელიც გამოადგება ქვეყანას ევროპულ სივრცესთან ასოცირებაში. საბჭოს წევრებისთვის ცნობილია თუ როგორ არის გაწერილი ეს პროცესები, რის გამოც ის ამაყობს, რომ ამ პროცესს უყურებს არა მხოლოდ ქართული სივრც, არამედ 4000-მდე ვიზიტორი ბოლო თვეების განმავლობაში, პროცესი გამართულია არა მხოლოდ პირდაპირი არამედ არა პირდაპირი შეფასებებითაც. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის და მისი შეფასებაც არ არის მარტივი, რადგან არის არასტანდარტული პროგრამა და ყველა რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება დაეთანხმა აუცილებლად გაითვალისწინებენ, სხვა შემთხვევაში ჰყავთ ძალიან ბევრი საერთაშორისო მხარდამჭერი ექსპერტი, რომელთა რეკომენდაციასაც აუცილებლად გაითვალისწინებენ.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ მართლაც ძალიან ბევრი უშრომიათ ექსპერტებს, დაწესებულების არგუმენტირებული პასუხიც ნამდვილად არგუმენტირებული იყო. იგი გაეცნო ორივე მხარის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, მოუსმინა ზეპირ განხილვასაც და მისი მოსაზრებით მეტად უფრო დამაჯერებელი იყო დაწესებულების პოზიცია იმ ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც არსებობს.
ექსპერტთა ჯგუფი თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სტუდენტთა რაოდენობაში ექსპერტები პრობლემას ვერ ხედავენ, საუბარი არის იმაზე, რომ გენდერის პრობლემა მიჰყავდეს იმ პერსონალს, რომელთა უშუალო კვლევითი ინტერესი უკავშირდება გენდერის საკითხს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:06
დასრულების დრო: 23:06

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გენდერის კვლევის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1.2 რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამის მე-6 სწავლის შედეგი და მოხდეს რეფორმულირება მისი მიღწევადობის და გაზომვადობის/შეფასების უზრუნველსაყოფად.

2.2 რეკომენდირებულია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების შინაარსი და შეივსოს გენდერულ კვლევებთან დაკავშირებული საკითხებით.

2.5 რეკომენდებულია, გადაიხედოს რიგ სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდები და შეფასების კომპონენტები, დაკორექტირდეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებთ.

რჩევები:

2.2 სასურველია კურიკულუმს დაემატოს ასევე მამაკაცის, და მასკულინობის მიმართულებით თეორიული და კვლევითი კურსები.

სასურველია, რომ კურსი ქვიარ თეორია, ძირითადი საგნის სტატუსით მიეწოდოს მაგისტრანტებს.

სასურველია, პროგრამაში გამრავალდფეროვდეს მონაცემთა დამუშავების მეთოდები/საკითხები.

2.3 სასურველია, სილაბუსებში კვირების მიხედვით გაიწეროს თემატიკა, დაკონკრეტდეს განსახილველი საკითხები;

2.6 სასურველია, რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს დასწრების კომპონენტის შეფასების რელევანტურობა.

4.1 სასურველია, პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად, პროგრამაში გაიზარდოს გენდერის კვლევის მიმართულებით გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

სასურველია, პროგრამის განვითარებისთვის, გაიზარდოს პროგრამაში ჩართული დოქტორების რიცხვი.

4.2 სასურველია უშუალოდ გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებების გააქტიურება, რაც მათ პროფესიულ განვითარებაში პოზიტიურ წვლილს შეიტანდა.

4.3 სასურველია, აუდიტორიების აღჭურვა სწავლის პროცესისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

4.4 სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში გაიზარდოს გამოყოფილი თანხა სამეცნიერო/კვლევითი მიმართულებებით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გენდერის კვლევის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 27 დეკემბერს, 23:10 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნაცვლიშვილი ეკატერინე